კავკასიისსაერთაშორისოუნივერსიტეტი

სოციალურმეცნიერებათაფაკულტეტი

საერთაშორისოურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

სტუდენტი - **ზურაბი ოთარაშვილი**

,,ნატოს სამშვიდობო ოპერაციები და მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა: კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიების შედარებითი ანალიზი“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი ვახტანგ მაისაია

თბილისი - 2018

Annotation

NATO peacekeeping operations and their geopolitical significance: Comparative analysis of Kosovo and Afghanistan peacekeeping missions

The main purpose of the North-Atlantic Alliance was to protect the war-torn Europe from the influence of the Soviet Union, therefore the main reason of its creation in 1949 was exactly this.

The ending of the Cold War fueled ethnic, territorial and other types of conflicts. Already the danger was unpredictable, which was threatening the security of the alliance itself. Right from this time the term crisis management comes into active use and it holds important place in NATO activities.

NATO faced the certainty to fulfill such new tasks as implementing peacekeeping operations, managing crises, avoiding humanitarian catastrophes, scientific cooperation, etc. In the era of globalization, when economization, democratization, informatization creates the unprecedented opportunities for development, security has become especially important, but all this makes the international relations system more vulnerable against such challenges as terrorism, hybrid warfare, cyber-terrorism, use of weapons of mass destruction.

In the Master's Thesis is discussed the role of Euro-Atlantic Alliance and its role in ensuring the World security. In addition to this, the strategic and geopolitical importance of NATO Peacekeeping missions related to the conflicts of Kosovo and Afghanistan is also considered.

In this work is examined the 21st century challenges, threats, risks, global tendencies and along with establishing the New World order, the role of Euro-Atlantic alliance, and also its political prospects.

Moreover, the relations of Georgia and Euro-Atlantic Alliance is also explored, the analysis of its initial stage, the role and function of Georgia in NATO peacekeeping missions as an aspirant country and future prospects of NATO-Georgia military and political cooperation.

Zurabi Otarashvili

ანოტაცია

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ძირითად დანიშნულებას ომისგან დასუსტებული ევროპის საბჭოთა კავშირის გავლენისგან დაცვა წარმოადგენდა და მისი შექმნის მიზეზიც 1949 წელს სწორედ ეს გახლდათ.

ცივი ომის დასრულებამ ეთნიკური, ტერიტორიული თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივებას შეუწყო ხელი, უკვე საფრთხე არაპროგნოზირებადი იყო,რაც საფრთხეს უქმნიდა თავად ალიანსის უსაფრთხოებასაც. სწორედ ამ დროიდან შემოდის აქტიურ ხმარებაში ტერმინი კრიზისების მართვა და ნატოს საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს.

ნატოს წინაშე დადგა ისეთი ახალი ამოცანების შესრულების აუცილებლობა, როგორებიცაა სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება, კრიზისული სიტუაციების მართვა, ჰუმანიტარული კატასტროფების თავიდან აცილება, სამეცნიერო თანამშრომლობა და სხვ. გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ეკონომიზაცია, დემოკრატიზაცია, ინფორმატიზაცია ქმნის განვითარებისათვის უპრეცედენტო შესაძლებლობებს უსაფრთხოება განსაკუთრებით აქტუალური გახდა, მაგრამ ეს ყოველივე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას უფრო დაუცველს ხდის ისეთი გამოწვევების წინაშე როგორიცაა ტერორიზმი, ჰიბრიდული ომი,კიბერ-ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ევროატლანტიკური ალიანსის როლი და ადგილი მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ასევე

საუბარია, ნატოს სამშვიდობო მისიების სტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე კოსოვოს და ავღანეთის კონფლიქტების ფონზე.

თემაში საუბარია ისეთ საკითხებზე,როგორიცაა 21-ე საუკუნის ახალი გამოწვევები,საფრთხეები, რისკები , გლობალური ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ფონზე, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ევროატლანტიკური ალიანსის როლი, აგრეთვე, ალიანსის პოლიტიკური პერსპექტივები.

თემაში განხილულია საქართველოს და ევროატლანტიკური ალიანსის ურთიერთობები, მისი საწყისი ეტაპების ანალიზი. ასევე საქართველოს,როგორც ასპირანტი ქვეყნის როლი და ფუნქცია ნატოს სამშვიდობო მისიებში და ნატო საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარების სამომავლო პერსპექტივები.

სარჩევი

ანოტაცია 3

შესავალი 6

თავი I . ნატოს სამშვიდობო მისიების გეოპოლიტიკური ფაქტორი ,,ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში 11

1.1. ნატოს ჩართულობა სამშვიდობო მისიებში 13

1.2. ნატოს სამხედრო სტრუქტურა და სამშვიდობო ოპერაციების ტიპოლოგია 20

1.3. ნატოს სამშვიდობო ოპერაციების კონცეფციის სამხედრო ასპექტები 25

თავი II. ნატოს როლი გლობალურ უსაფრთხოებაში 30

2.1. ნატოს სამშვიდობო ოპერაციების გეოპოლიტიკური ასპექტები 32

2.2. კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიები 36

2.3 ნატოს წინაშე არსებული ახალი სამხედრო მისიები და გამოწვევები 47

თავი III. ნატო საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ძირითადი ასპექტები 54

3.1. ნატო-საქართველოს ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება 55

3.2. საქართველოს ჩართულობა ნატოს სამშვიდობო მისიებში 60

3.3. ნატო საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები 63

დასკვნა 67

გამოყენებული ლიტერატურა 71

შესავალი

არჩეული სამაგისტრო თემის აქტუალობა

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას , ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს ახალი არქიტექტურის მშენებლობაში ცენტრალური როლი და მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება.

„ცივი ომის" დასრულების შემდგომ პერიოდში მსოფლიო პოლიტიკაში განვითარებულმა მოვლენებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასების პროცესზე, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს.

21-ე საუკუნეში სახელმწიფოს უსაფრთხოების ცნება უკვე აღარ არის შემოფარგლული ერთი რომელიმე ცალკეული ქვეყნის საზღვრებით. თანამედროვე პერიოდში ამა თუ იმ სახელმწიფოს უსაფრთხოება და სტაბილურობა უკვე დიდწილადაა დამოკიდებული რეგიონალურ და გლობალურ დონეზე განვითარებულ ინტეგრაციულ პროცესებზე.

უახლოეს წარსულში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად ცხადყო, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 21-ე საუკუნეში წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციას უსაფრთხოების სფეროში.

ნატოს წარმატების ძირითადი მიზეზები უნდა ვეძებოთ იმ პრინციპებსა და ფასეულობებში,როგორიცაა კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა.

ნატოს როლი და მნიშვნელობა დღევანდელ გეოპოლიტიკურ განზომილებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. გლობალურ პოლიტიკაში არსებული კონფლიქტები და ახალი კონფლიქტური ზონების წარმოქმნის საშიშროება ქმნის საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის აუცილებლობას არსებული კონფლიქტების დარეგულერების საკითხში და ახალი კონფლიქტური რეგიონების წარმოქმნის პრევენციის საკითხში.

მოცემული საკითხი აქტუალურია იქედან გამომდინარე, რომ დღეისათვის არსებობს მრავალი კონფლიქტური რეგიონი და ნატოს ჩართულობის შესწავლა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მოგვცემს საშუალებას უკეთ გავერკვეთ თანამშრომლობითი უსაფრთხოების მნიშვნელობაში და როლში გლობალურ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმატში.

გეოპოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე კოსოვოს და ავღანეთის კონფლიქტების ანალიზი და ნატოს ჩართულობა სამშვიდობო მისიებში ერთ-ერთი საკვანძო საკითხია პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის საქმეში.

ნაშრომში ასევე საუბარია ნატოს წინაშე არსბულ ძირითად საფრთხეებზე და გამოწვევებზე, როგორიცაა ალიანსის აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებისაგან მომდინარე სამხედრო, ტერორისტული, კიბერ და ჰიბრიდული საფრთხეები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის აგრესიულ ქმედებებს, ასევე, ახლო

აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არსებულ უსაფრთხოების გარემოს და მათ გავლენას ნატო-ს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე.

ნაშრომში განხილულია ნატო-საქართველოს ურთიერთობები. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანას ნატო-ში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამ ორგანიზაციაში შესვლით, იგი ცდილობს საიმედოდ უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება, ასევე მჭიდროდ დაუკავშიროს თავისი ბედი დემოკრატიულ ქვეყნებს და დემოკრატიული განვითარების გზას.მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ ნატოსა და საქართველოს შორის ურთიერთობის სხვადასხვა ასპეკტს, საქართველოს ჩართულობას ნატოს სამშვიდობო მისიებში და ამ ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებს.

ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი თემის მიზნები და ამოცანებია ევროატლანტიკური უსაფრთხოების გეოსტრატეგიის კონტექსტში:

- ნატოს სამშვიდობო ოპერაციების მნიშვნელობის წარმოჩენა, მათი ანალიზი და დესკრიფცია.
- ევროატლანტიკური ალიანსის როლის წარმოჩენა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
- ნატოს წინაშე არსებული ახალი სამხედრო მისიების და გამოწვევების წარმოჩენა
- ნატო-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივების განხილვა.

ჰიპოთეზა

21-ე საუკუნეში ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ფონზე, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ევროატლანტიკური ალიანსის როლი და ადგილი უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ნატოს ჩართულობა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში და კონფლიქტების დარეგულირების პროცესში საკმაოდ

მნიშვნელოვანია. თანამედროვე პერიოდში ნატო ახალი საფრთხეების, რისკების და გამოწვევების წინაშე სრულ მზადყოფნაში აღმოჩნდა.

საკვლევი კითხვები

• ნატოს სამშვიდობო მისიების სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში?

• რამდენად ეფექტური გამოდგა ნატოს ჩართულობა კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში შედარებითი ანალიზი?

• თანამედროვე პერიოდში ახალი გამოწვევების ფონზე რამდენად შეუძლია ნატოს, ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფა?

კვლევის მეთოდები

- ❑ არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა.
- ❑ Case study, რომელიც დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში
- ❑ თვისობრივი კვლევის მეთოდები:
- • მონაცემთა ანალიზი;
  - • ისტორიულ-აღწერილობითი
- ❑ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები:
- • პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
- • კონტენტ ანალიზი.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული საკვლევო მეთოდოლოგია

- ძალთა ბალანსი ან ძალთა წონასწორობა — ერთ–ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.
- სექიურითიზაციის კონცეფცია“ უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომელიც ასოცირდება ოლი ვივერის, ბარი ბუზანის და მათი თანამოაზრეების სახელებთან კონსტრუქტივიზმის თეორიის წიაღში, რომელიც საზოგადოების ჩართულობას ითვალისწინებს.
- ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს. რიჩარდ კოენი გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება.

მრავლად გამოყენებული ლიტერატურული წყაროებიდან გამოვყოფ ძირითად წყაროებს:

1. ნიკა ჩიტაძე - ,,ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი“.

ნიკა ჩიტაძის წიგნი ,,ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი“ არის ქართულენოვანი გამოცემა, რომელიც არის მარტივად ხელმისაწვდომი. წიგნში კარგად არის აღწერილი ნატოს დაარსების დღიდან ღემდე განვითრების მოვლენები, მისი სამშვიდობო ოპერაციები, სტრატეგიული კონცეფციის შექმნის და განვითარების ეტაპები. წიგნში ასევე ყურადღება გამახვილებულია ,,ცივი ომის“ და ცივი ომის შემდგომ პერიოდზე.

1. The Assembly’s Contribution to the New Strategic Concept of the Alliance, NATO HQ, Brussels, Belgium, 2013, 13 April

ეს არის დოკუმენტი რომელიც გამოცემულ იქნა 2010 წელს ბრიუსელში, ბელგიაში. აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოყალიბებული არის ახალი სტრატეგიული კონცეფციის სტრუქტურა.

ლიტერატურაში ნათლადაა ასახული ნატოს მიღწევებზე საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში, ალიანსის ურთიერთობებზე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებთან.

თავი I. ნატოს სამშვიდობო მისიების გეოპოლიტიკური ფაქტორი ,,ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში

მსოფლიო პოლიტიკაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე,კომუნისტური ბანაკის დაშლის შედეგად 90-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში შეიქმნა სრულიად ახალი გეოპოლიტიკური რეალობა. ამ ყოველივემ საფუძველი ჩაუყარა ევროატლანტიკური ალიანსის ტრანსფორმაციას.

ნატოს ძირითად მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთთან კონფრონტაციის პოლიტიკიდან პარტნიორობისა და თანამშრომლობის პოლიტიკაზე გადასვლა. ამ მხრივ ალიანსისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა ევროპის

უშიშროების ახალი არქიტექტურის მშენებლობა, რომლის მთავარი საფუძველი უნდა ყოფილიყო დასავლური დემოკრატიული ფასეულობები.

ასევე ნატოს წინაშე დადგა ისეთი ახალი ამოცანების შესრულების აუცილებლობა, როგორებიცაა სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება, კრიზისული სიტუაციების მართვა, ჰუმანიტარული კატასტროფების თავიდან აცილება, სამეცნიერო თანამშრომლობა და სხვ.

ევროატლანტიკური ალიანსისათვის, რომლის მთავარ მიზანს მისი დაარსების დღიდან წარმოადგენდა მოსალოდნელი საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავება და დასავლური დემოკრატიული ღირებულებების დაცვა, ამგვარი ტრანსფორმაციის განხორციელება მოითხოვდა დიდ ძალისხმევას,რაც დაკავშირებული იყო გარკვეულ სირთულეებთან. პირველ რიგში ეს გულისხმობდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიზნებისა და ამოცანების ახლებურ გააზრებას , ევროპული უსაფრთხოების სისტემის რეალობასთან ადაპტირებასა და თანამშრომლობის ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ევროპაში რიგი დიდი სახელმწიფო წარმონაქმნის (სსრკ, იუგოსლავია) დაშლამ, აღმოსავლეთში (ჩინეთი, კამბოჯა, კორეა), ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (თურქეთი, ავღანეთი, ტაჯიკეთი) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის ბრძოლამ გამოიწვია მსოფლიოს ამ რეგიონებში არასტაბილურობის ხარისხი და ცალკეულ შემთხვევებში მიგვიყვანა კონფლიქტების აღმოცენების საშიშროებასთან. შეიარაღებული კონფლიქტების აღმოცენების საფუძვლები მრავალწახნაგოვანია. მასში შეიძლება მოიაზრებოდეს პოლიტიკური, ეკონომიკური, ეროვნულ-ეთნიკური, სოციალური, რელიგიური და სხვა ხასიათის წინააღმდეგობები.

დღევანდელი კონფლიქტების მეტი წილი მიმდინარეობს თვით სახელმწიფოს შიგნით და არა სახელმწიფოებს შორის. "ცივი ომის" დამთავრებამ მოხსნა ის ზღუდე, რომელიც ყოფილ სსრკში და სხვა ქვეყნებში კონფლიქტებს აკავებდა.

შედეგად, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შიგნით გაჩაღდა ომები, რომლებიც რელიგიურ ან ეთნიკურ ხასიათს ატარებს და მათთვის განუმეორებელი ძალადობა და სისასტიკეა დამახასიათებელი. გარდა ამისა, არ დამთავრებულა რამდენიმე შიდასახელმწიფოებრივი ომი, რომელიც "ცივი ომის" პერიოდში სხვა სახელმწიფოების ინტერესების თუ მხარდაჭერის შესაბამისად მიმდინარეობდა.

სახელმწიფოთაშორისო ომები გახდა უფრო იშვიათი მოვლენა,ხოლო სამშვიდობო ოპერაციები, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი საშუალება.

მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით ნატომ განახორციელა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა **,,პარტნიორობა მშვიდობისათვის".**

პროგრამა **,,პარტნიორობა მშვიდობისათვის"** (PFP) მიზნად ისახავს ნდობის დამყარებას ნატოს, ევროპაში ნატოს არაწევრ ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. იგი პირველად იქნა შემოთავაზებული, როგორც ამერიკის ინიციატივა 1993 წლის 20-21 ოქტომბერს, ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე ტრავემუნდში (გერმანია).

დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით, რასაც თავად ალიანსი ემყარება, "პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის" მიზანია საფრთხეების თავიდან აცილება, სტაბილურობის განმტკიცება და მყარი თანამშრომლობის ჩამოყალიბება, როგორც ნატოსა და ინდივიდუალურ პარტნიორ ქვეყნებს შორის, ისე თავად პარტნიორ სახელმწიფოებს შორის.[1]

---

[1]ნიკაჩიტაძე-ნატოჩრდილოატლანტიკურიალიანსიმსოფლიომშვიდობისა დასტაბილურობისმთავარიგარანტი.თბილისი2007წ.

1.2. ნატოს ჩართულობა სამშვიდობო მისიებში

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) უახლესი ისტორიის ყველაზე ძლიერი და თავისი მაშტაბებით უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების თანახმად ნატოს უმთავრეს ამოცანას წევრი ქვეყნების დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და უსაფრთხოების პოლიტიკური/სამხედრო საშუალებებით დაცვა წარმოადგენს. ნატო უზრუნველყოფს წევრი-სახელმწიფოების საერთო ფასეულობებს: დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლების, მოქალაქეების უფლებების, კანონის უზენაესობისა და პოლიტიკური კრიზისების მშვიდობიანი მოგვარების დაცვას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია,ნატო ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 29 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რომლის მიზანს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება წარმოადგენს.

ევროატლანტიკურმა ალიანსმა აიღო ვალდებულება, დაიცვას წევრი სახელმწიფოები გარე აგრესიისაგან ან მათზე ძალის გამოყენების მუქარისაგან. ნატოს ერთ-ერთი უმთვრესი პრინციპია კოლექტიური თავდაცვა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ალიანსის ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოზე განიხილება, როგორც შეიარაღებული თავდასხმა ორგანიზაციის ყველა წევრზე (ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის).

ევროატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია არის სამთავრობათაშორისო, სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც აერთიაენებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. 1949 წლის აპრილში ვაშინგტონში ხელი მოეწერა ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას, რომელმაც დასაბამი მისცა აშშ-ის, კანადის

და დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს კოლექტიური უსაფრთხოებისა და პარტნიორობის ახალ მექანიზმს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (NATO)-ს.

ნატოს შექმნა განაპირობა მზარდმა საბჭოთა ექსპანსიამ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის მთლიანად მოიცვა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა და საფრთხე შეუქმნა დასავლეთის სამყაროს.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი ისტორიის განმავლობაში არაერთი ცვლილება განიცადა, რათა ახალი გამოწვევების წინაშე სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება გახლავთ სამშვიდობო ოპერაციებისა და კრიზისების რეგულირების პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება, განურჩევლად კონფლიქტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. ალიანსი აღიარებს, რომ საფრთხე აღარ არის შეზღუდული რომელიმე კონკრეტული ადგილმდებარეობით და მზად არის, გამოეხმაუროს მას, რა დროს და საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ის.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ნატომ პირველად განახორციელა სამშვიდობო ოპერაციები. კერძოდ, ბალკანეთში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) 1995 წელს, კოსოვოში 1999 წელს, მაკედონიაში კი 2001წელს, სადაც იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერალური რესპუბლიკის დაშლის სისხლიანმა კონფლიქტმა სერიოზული საშიშროება წარმოშვა არა მხოლოდ რეგიონული, არამედ საერთო - ევროპული უსაფრთხოებისათვის. 2003 წელს ავღანეთში ნატოს მისიით ალიანსმა დაამტკიცა, რომ მას აქვს უნარი, გაუმკლავდეს

პრობლემებს არა მხოლოდ მისი ტრადიციული პასუხისმგებლობის – ევროატლანტიკურ სივრცეში, არამედ მის მიღმაც.

ნატო ბოსნია-ჰერცეგოვინა

1992-1995 წლების განმავლობაში ნატო აქტიურად უჭერდა მხარს ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შესაჩერებლად გაეროს ძალისხმევას რეზოლუციებისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების მეშვეობით. 1995 წლის 30 აგვისტოს ნატოს თვითმფრინავებმა საჰაერო იერიში მიიტანეს ბოსნია-ჰერცეგოვინაში სერბთა სამხედრო ფორმირებების პოზიციებზე. დიპლომატიურმა ძალისხმევამ და საჰაერო ოპერაციის წარმატებამ ხელი შეუწყო ბოსნია-ჰერცეგოვინაში საომარი მოქმედებების შეწყვეტას.

1995 წლის 16 დეკემბერს ალიანსმა მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების განხორციელების პროცესზე დაკვირვების მიზნით, ბოსნია-ჰერცეგოვინაში ერთი წლით გაეროს მანდატის მქონე საერთაშორისო ძალები (საიმპლემენტაციო ძალები/Implementation Force – IFOR) განათავსა. დასახული ამოცანების შესრულების შემდეგ, 1996 წლის დეკემბერში საიმპლემენტაციო ძალებს ნატოს სტაბილიზაციის ძალები (Stabilization Force – SFOR) ჩაენაცვლა. რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობის დამყარების გარდა, სტაბილიზაციის ძალებმა დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულების სამოქალაქო ასპექტების ხელშეწყობა იტვირთა.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში უსაფრთხოებისა და სტაბილური გარემოს აღდგენის შემდეგ ნატოს სამშვიდობო მისიის პირადი შემადგენლობა თანდათანობით შემცირდა, ვიდრე 2004 წლის ბოლოს სტაბილიზაციის ძალებმა მისია არ დაასრულა. 2004 წლის 2 დეკემბერს ძირითადი პასუხისმგებლობა მშვიდობის შესანარჩუნებლად ევროკავშირის (European Union) სამხედრო მისიამ – ალთეამ (Althea) აიღო. ამჟამად ბოსნია-ჰერცეგოვინა ახორციელებს გაწევრიანების სამოქმედო გეგმას და ნატოს ერთ-ერთი ასპირანტი ქვეყანაა.

კოსოვოს კონფლიქტი და ნატო

1999 წლის ივნისიდან ნატო ახორციელებს სამშვიდობო მისიას კოსოვოში. ჰუმანიტარული კატასტროფის აღსაკვეთად და მშვიდობის დასამყარებლად ნატომ სამხედრო-საჰაერო კამპანია განახორციელა. ყველა ხელმისაწვდომი დიპლომატიური საშუალების ამოწურვისა და სამშვიდობო მოლაპარაკებათა წარუმატებლობის შემდეგ ალიანსმა იუგოსლავიის ხელისუფლების სამხედრო და გასამხედროებული სტრუქტურების წინააღმდეგ საჰაერო იერიშების დაწყება გადაწყვიტა. სამხედრო საჰაერო კამპანია 1999 წლის 24 მარტს დაიწყო და 78 დღეს გაგრძელდა.

ნატოსა და ყოფილი იუგოსლავიის არმიის სარდლობას შორის სამხედრო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 1999 წლის 12 ივნისს, გაეროს მანდატის საფუძველზე, ნატომ რეგიონში ე.წ. კოსოვოს ძალები (Kosovo Force – KFOR) გაგზავნა. 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს მთავრობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ ფაქტს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების დაძაბვა მოჰყვა. ნატოს პასუხისმგებლობა, კოსოვოში განევითარებინა უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო, დარჩა უცვლელი, ამიტომ ნატოს ოპერაცია კოსოვოში ამჟამადაც გრძელდება. ალიანსი გაეროს მისიასთან (UNMIK) მჭიდრო თანამშრომლობით ხელს უწყობს უფრო უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, მშვიდობიანი თანაცხოვრება შეეძლება.

ნატო მაკედონიის რესპუბლიკაში

მაკედონიის რესპუბლიკის მთავრობის თხოვნის საფუძველზე, თავიდან აეცილებინა სკოპიეს (მაკედონიის დედაქალაქი) მთავრობასა და ეთნიკურ ალბანელ მეამბოხეებს შორის კონფლიქტის ესკალაცია, ნატო მონაწილეობდა რეგიონში მიმდინარე

პროცესებში. 2001 წელს ნატოს ძალისხმევის შედეგად დაპირისპირებულ მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგი შედგა, რომელსაც სამშვიდობო ჩარჩო-გეგმის შემუშავება და რეგიონში საომარი მოქმედებების შეწყვეტა მოჰყვა. ოჰრიდის ჩარჩო ხელშეკრულების (Ohrid Framework Agreement) საფუძველზე, 2001 წლის 27 აგვისტოს ოპერაციის, კოდური სახელწოდებით მთავარი მოსავალი (Operation Essential Harvest), ფარგლებში ნატომ მაკედონიაში სამხედრო მოსამსახურეთა პერსონალი შეიყვანა. ნატოს მისიას ეროვნულ-გამათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცების მიერ ნებაყოფლობით ჩაბარებული იარაღის შეგროვება და განადგურება დაევალა.

მოგვიანებით, სკოპიეს მთავრობამ თხოვნით მიმართა ნატოს, მაკედონიის რესპუბლიკაში დესტაბილიზაციის თავიდან აცილების, ევროკავშირისა და ეუთოს დამკვირვებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეენარჩუნებინათ მცირერიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი. 2003 წლის მარტიდან ნატოს მისია მაკედონიაში ევროკავშირს (EU) გადაებარა.

ნატოს როლი ერაყში

ნატო, როგორც ორგანიზაცია, არ მონაწილეობდა ერაყში აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებულ მრავალეროვნული კოალიციური ჯარების სამხედრო ოპერაციაში. ალიანსის როლი ერაყში შემოიფარგლებოდა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების გაწვრთნით. 2004 წლის 28 ივნისს ნატოს სტამბოლის სამიტზე შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვეტილება მიიღეს, ერაყის მთავრობას სამხედრო პერსონალის გაწვრთნაში დახმარებოდნენ. იმავე წლის 30 ივლისს ჩამოყალიბდა ნატოს წვრთნების საიმპლემენტაციო მისია (Training Implementation Mission) ერაყში.

2004 წლის 7 აგვისტოდან ნატოს მისია ახორციელებდა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების წვრთნას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. შინაარსობრივად ნატოს საწვრთნელი მისია ერაყში არასაომარი

ხასიათის იყო და ერაყელი სამხედროების გაწვრთნას, აღჭურვასა და ტექნიკურ დახმარებას ისახავდა მიზნად. 2004-2006 წლების განმავლობაში ნატოს მისიის ფარგლებში 5000-მდე ოფიცერმა აიმაღლა კვალიფიკაცია. მისიის დაწყებიდან დღემდე ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ერაყის მთავრობა სხვადასხვა სამხედრო-ტექნიკური საშუალებით (ტყვია-წამლით, ჯავშან-ჟილეტებით, სამხედრო მანქანებით, ტანკებითა და სხვა აღჭურვილობით) მოამარაგა, რომლის საერთო ღირებულება 110 მილიონ ევროს შეადგენს.

ნატოს როლი დარფურში (აფრიკა, სუდანის რესპუბლიკა)

2005 წლის ივნისში ნატომ ოფიციალურად გამოაცხადა მზადყოფნა, დახმარება აღმოეჩინა დარფურში მოქმედი სამშვიდობო მისიისთვის სტრატეგიული გადაადგილების, მისიის პერსონალის სწავლებისა და სამოქალაქო პოლიციელების გადაადგილების საკითხებში. 2005 წლის ივლისიდან 2006 წლის თებერვლამდე მოხდა აფრიკის კავშირის სამშვიდობო მისიის 24 000 მოსამსახურის საჰაერო ტრანსპორტირება. ამასთანავე, ნატო უზრუნველყოფდა აფრიკის კავშირის ოფიცერთა სწავლებას მრავალეროვნული სამხედრო შტაბებისა და ინფორმაციის ეფექტიანი მართვის საკითხებში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირთან, რომელიც მხარს უჭერს აფრიკის კავშირის სამშვიდობო ოპერაციას.

ოპერაცია აქტიური ძალისხმევა (Active Endeavor)

2001 წლის ოქტომბრიდან ოპერაცია აქტიური ძალისხმევის ფარგლებში ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალები, ხმელთაშუა ზღვის წყლებში პატრულირებენ. ისინი აკონტროლებენ გემების მიმოსვლას და გიბრალტარის სრუტეში სავაჭრო გემებს თანხლებას უწევენ. აქტიური ძალისხმევის მიზანია ხმელთაშუა ზღვის წყლებში ტერორისტული საქმიანობის აღკვეთა, გამოვლენა და დროული განეიტრალება.

დასავლეთ ევროპაში ნავთობისა და ბუნებრივი აირის 65%-ის ტრანსპორტირება ხმელთაშუა ზღვის გავლით ხდება. 2003 წლის მარტიდან აქტიური ძალისხმევის ფარგლებში გიბრალტარის სრუტეში ხორციელდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების დროშით მცურავი არასამხედრო გემების თანხლება. ამ გადაწყვეტილების მიზანს წარმოადგენს ტერორისტული თავდასხმების აღკვეთა, რომლებიც მოხდა 2000 წელს იემენში აშშ-ის და 2002 წელს საფრანგეთის დროშით მცურავი ხომალდების წინააღმდეგ. 2003 წლის აპრილიდან ნატო სისტემატურად ამოწმებს საეჭვო ხომალდებს. ნატოს გაძლიერებული ყოფნა ხმელთაშუა ზღვის აუზში წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტს და დადებითად აისახება გემების მიმოსვლაზე. აქტიური ძალისხმევა, ასევე, ხელს უწყობს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ოპერაციაში, გარდა ნატოს წევრი სახელმწიფოებისა, ჩართულები არიან ალიანსის პარტნიორი ქვეყნებიც.

ნატოს როლი ავღანეთში

2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა აშშ-ში განლაგებული სამიზნეების წინააღმდეგ მასობრივი განადგურების იარაღად სამგზავრო თვითმფრინავები გამოიყენეს. მეორე დღეს, 12 სექტემბერს პირველად ალიანსის ისტორიაში, მოკავშირეებმა აამოქმედეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი (ნატოს კოლექტიური თავდაცვის მუხლი) და ამით დაადასტურეს, რომ ნატოს ერთ-ერთ წევრზე თავდასხმა წარმოადგენს თავდასხმას ალიანსის ყველა წევრზე. ალიანსმა მიიღო შესაბამისი ზომები ამერიკის შეერთებული შტატების მხარდასაჭერად. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიის განმავლობაში ორგანიზაციის მისია ავღანეთში იყო ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია, ევროატლანტიკური სივრცის გარეთ. 2001 წლის დეკემბერში, ავღანეთიდან ტერორისტული დაჯგუფება ალქაიდა და თალიბები დამარცხებულ იქნა.

ნატოს მისია ავღანეთში, რომელიც 13 წელიწადი გრძელდებოდა, 2014 წლის 28 დეკემბერს ოფიციალურად დასრულდა. ავღანეთმა დროთა განმავლობაში აჩვენა, რომ სამხედრო ოპერაციებს საკუთარი თავდაცვითი ძალებით, ISAF - ის მისიის საბრძოლო შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე შეძლებდა. ნატოს ახალი პროგრამა - მტკიცე თანამშრომლობის მისია ავღანეთში 2015 წლიდან ამოქმედდა (RSM _ Resolute Support Mission in Afghanistan). ის სასწავლო და საკონსულტაციო ხასიათს ატარებს და ავღანელი სამხედროების დახმარებას ისახავს მიზნად. გადამწყვეტი მხარდაჭერის მისია ავღანეთში 2015 წლიდან დაიწყო ახალი, ორწლიანი მისია, სახელწოდებით, გადამწყვეტი მხარდაჭერა. მისიის ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეების მოვალეობა, უმთავრესად, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების გაწვრთნაა. ამ ოპერაციაში 42 ქვეყანა მონაწილეობს, სულ - 13.195 მოსამსახურე. საქართველო 2015 წლიდანვე ჩაერთო ავღანეთში ნატოს გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით, რიგით მეორე კონტრიბუტორია.[2]

1.2. ნატოს სამხედრო სტრუქტურა და სამშვიდობო ოპერაციების ტიპოლოგია

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია კოლექტიური თავდაცვა. ნატოს დამფუძნებელი ქარტიის (ვაშინგტონის ხელშეკრულება) მე-5 მუხლში მოცემულია კოლექტიური თავდაცვის ვალდებულება, რომლის თანახმად, ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფოზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა განიხილება როგორც თავდასხმა ნატოს ყველა წევრ სახელმწიფოზე.მე-5 მუხლი

[2]საქართველო და ნატო საინფორმაციო ცენტრი
http://infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/ 2018.

ნატოს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, 2001 წლის 12 სექტემბერს ამოქმედდა, აშშ-ზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის მომდევნო დღეს.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს არ გააჩნია შეიარაღებული სამხედრო ძალები მუდმივ საწყისებზე. ყოველი წევრი სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს ნატოს გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში, ვალდებულია გამოყოს განსაზღვრული რაოდენობისა და სახეობის შეიარაღებული ძალები შეთანხმებული ამოცანებისა და ოპერაციების განსახორციელებლად.

თუმცა 2006 წლიდან ნატოს სრულ მზადყოფნაში ჰყავს ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული, კარგად გაწვრთნილი „სწრაფი რეაგირების ძალები“ (NRF-NATO Response Force), რომლებიც მოიცავენ სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური დანიშნულების ძალების კომპონენტებს.

სწრაფი რეაგირების ძალებს ნატოს დოქტრინის თანახმად ევალებათ, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული პლაცდარმის ხუთი დღის განმავლობაში დაკავება და ძირითადი ძალების მხრიდან სრულმასშტაბიანი ოპერაციის დაწყების ხელშეწყობა.

სამხედრო სტრუქტურა

ნატოს ჰყავს უმაღლესი სამხედრო ორგანო - სამხედრო კომიტეტი (Military Committee),რომლის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში,რომ მან კონსულტაცია უნდა გაუწიოს ნატოს პოლიტიკურ სტრუქტურებსა და სტრატეგიულ სარდლობებს სამხედრო პოლიტიკასთან დაკავშირებით , ასევე მას ევალება მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ამასთან ერთად,სამხედრო კომიტეტი პასუხისმგებელია ალიანსის სამხედრო ღონისძიებების განხორციელებაზე. ასევე, მისი პრეროგატივაა ნატოს ინტერესებისათვის შესაძლო საფრთხის შემცველი ქვეყნების სამხედრო პოტენციალის შეფასება.

ნატოს სამხედრო კომიტეტი კომპლექტდება ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მაღალი სამხედრო რანგის მქონე პირებისაგან, რომლებიც ჩართულნი არიან კომიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. წელიწადში სამჯერ კომიტეტი შეხვედრებს ალიანსის წევრი-ქვეყნების გენერალური (გაერთიანებული) სამხედრო შტაბების ხელმძღვანელების დონეზე მართავს.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ჰყავს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ორი სარდლობა.

პირველი გახლავთ "მოკავშირეთა სარდლობა ოპერაციებისათვის" (Allied Command Operations, ACO), რომლის შტაბ-ბინაც მონსშია (ბელგია) განთავსებული, ხოლო მეორე - "მოკავშირეთა სარდლობა ტრანსფორმაციის დარგში" (Allied Command Transformation, ACT), რომლის შტაბ-ბინაც მდებარეობს ნორფოლკში (ვირჯინია, აშშ).

"მოკავშირეთა სარდლობა ოპერაციებისათვის" მეთაური, ხელმძღვანელობს ნატოს წევრი-სახელმწიფოების მიერ გადაცემულ სამხედრო ძალებს. იგი პასუხისმგებელია ნატოს ყველა სამხედრო ოპერაციაზე, განურჩევლად მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა.

რაც შეეხება,"მოკავშირეთა სარდლობა ტრანსფორმაციის დარგში" მეთაურს, იგი ვალდებულია იზრუნოს ალიანსის სამხედრო ძლიერებისა და პოტენციალის ამაღლებაზე, პასუხისმგებელია უახლესი სამხედრო ტექნოლოგიების, სამხედრო კონცეფციებისა და დოქტრინების შემუშავებაზე და ა.შ. ნატოს სტრატეგიული სარდლობების მეთაურები როგორც წესი, ინიშნებიან აშშ-ის გენერალიტეტის უმაღლესი რიგებიდან.

ნატოს სამხედრო სტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებში გადაწყვეტილების მიმღებ უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი (Defense Planning Committee). ის განიხილავს ალიანსის თავდაცვასა და კოლექტიურ

უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ამოცანებს.[3] თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტს ნატოს გენერალური მდივანი თავმჯდომარეობს.

ნატოს გააჩნია სამი სახის საჯარისო შენაერთი.

1. სწრაფი რეაგირების ძალები

სწრაფი რეგირების ძალები წარმოადგენენ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებს,რომელთა გამოყენება შესაძლებელია კრიზისების მოკლე დროში მოსაგვარებლად.

2. მთავარი თავდაცვითი ძალები;

მთავარი თავდაცვითი ძალების შემადგენლობაში ირიცხებიან სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ფორმირებები, რომლებიც შედგება საკადრო და მოწვეული სამხედრო მოსამსახურეებისაგან, რომელთაც გააჩნიათ ძალა და რესურსი მოიგერიონ ნებისმიერი სამხედრო აგრესია. კრიზისული სიტუაციების დროს ნატოს დაქვემდებარებაში გადადის ევროპული კორპუსის შემადგენლობაში არსებული კონტინგენტები, სადაც ირიცხებიან სამხედრო ქვედანაყოფები ბელგიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, ლუქსემბურგიდან და საფრანგეთიდან.

3. ხელშეწყობის ძალები.

რაც შეეხება ხელშეწყობის ძალებს, ისინი შედგებიან სხვადასხვა სახეობების ჯარების კონტინგენტისაგან, რომლებიც სხვადასხვა სამხედრო მზადყოფნის სტადიაში იმყოფებიან. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ სხვადასხვა სახმელეთო თუ საზღვაო რეგიონში კრიზისის მოგვარების ან თავდაცვის მიზნით.

მშვიდობისმხარდამჭერიოპერაციებისტიპოლოგია

3International Law & Relations
საერთაშორისო სამართალი და ურთიერთობები
http://ildb.blogspot.com/2010/05/blog-post_2922.html 2010.

ნატოს PSO-ები შეიძლება განისაზღვროს, როგორც პოლიტიკური, მრავალმხრივი და მრავალეროვნული ოპერაციები, ინტეგრირებული სამხედრო სტრუქტურების და სამხედრო აქტივების გამოყენებით, რომლებსაც პირველ რიგში მიიჩნევენ მშვიდობის დასამყარებლად, რადგან კარგად ასახავს ალიანსის შესაძლებლობებს, ამიტომაც ნატოს მხარდაჭერის ყველაზე დიდი ნაწილი გაეროს მიმართ არის სამშვდობო ოპერაციების მხარდაჭერა.

მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები იდენტიფიცირდება და განსაზღვრავს ნატოს-შემდეგი სახეობის ოპერაციებს:

ა)კონფლიქტების პრევენცია ბ)შესარიგებელი გ)სამშვიდობო დ)სამშვიდობო მისია.ე)მშვიდობის დამყარება ვ)ჰუმანიტარული ოპერაციები.

ა)კონფლიქტის პრევენცია-ნიშნავს სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებას. რაც ითვალისწინებს დამატებით დიპლომატიური სამოქალაქო ღონისძიებების გატარებას, საჭიროების შემთხვევაში სამხედრო აღჭურვილობის გაკონტროლებას და ზუსტად განსაზღვრას კონფლიქტის მიზეზების, რათა თავიდან მოხდეს კონფლიქტის აცილება, ამისთვის საჭიროა ესკალაცია და საომარი მოქმედებების განახლება.

ბ) მშვიდობისმყოფელი-ნიშნავს სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებას გაუთვალისწინებელი კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, რაც უმთავრესად ხორციელდება დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად, მშვიდობიანი გზით. მათ საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ პირდაპირი ან არაპირდაპირი სამხედრო ძალის ჩართვა, ასეთი საქმიანობის მაგალითებია:

- დიპლომატიური წნეხი.
- საერთაშორისო იზოლაცია.
- შეთანხმება.
- სანქციები.

გ)სამშვიდობო ძალები-ნიშნავს სამშვიდობო ოპერაციების შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადებას, ასეთი გარემო ხელსაყრელია, იმისთვის რომ შეთანხმების პირობები ნაკლებად იყოს დარღვეული

ნატოს სამშვიდობო ოპერაციის კონკრეტული მაგალითია 2001წლის ოპერაცია ,,აუცილებლად მოსახდენი", რომელიც მიზნად ისახავდა მაკედონიაში მოღვაწე ალბანელი ნაციონალისტების განიარაღებას, რომელზეც თანახმა იყო კონფლიქტში ყველა მონაწილე მხარე.

დ)მშვიდობის აღსრულება-ნიშნავს სამშვიდობო ოპერაციის შეთანხმების ბოლომდე მიყვანას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მშვიდობის შესახებ შეთანხმებები ზედმიწევნით უნდა იყოს შესრულებული. შეთნხმება უნდა იყოს კარგად გააზრებული, რათა არ მოხდეს პირობების დარღვევა და ამის რისკი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

ე)მშვიდობის მყოფადობა-ზოგჯერ მოხსენიებულია, როგორც მშვიდობიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება. კონფლიქტის ძირეული მიზეზების გამოსწორებისა და პოპულაციების გრძელვადიანი უსაფრთხოების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, სამშვიდობო ოპერაციების ჩატარება.

ვ)ჰუმანიტარული დახმარება-ადამიანის ტანჯვის შემსუბუქების მიზნით სპეციალურად მიმართული სამშვიდობო ოპერაციების ჩატარება, სადაც ადგილობრივ ანგარიშვალდებულ ორგანოებს არ აქვთ შესაძლებლობა ან არ სურთ ზრუნვა ასეთ ადამიანზე.[4]

ამავდროულად ნატოს PSO-ები ზედამხედველობენ ტერიტორიული დემილიტარიზაციისა და შეიარაღების კონტროლს. დახმარებს უწევენ ნატოს მომავალი წევრი ქვეყნების სამედრო ძალების მომზადებას.უზრუნველყოფს ჰუმანიტარულ დახმარებას, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მხარდაჭერას. ეხმარება დაზარალებულ ქვეყნებს კანონის უზენაესობის აღდგენაში,

[4] *The Assembly's Contribution to the New Strategic Conceptof the Alliance.* (2010 13 April). Brusells, Belgium: NATO HQ.

ახორციელებს ისეთ საქმიანობებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენას გამოიწვევს.

1.3. ნატოს სამშვიდობო ოპერაციების კონცეფციის სამხედრო ასპექტები

ნატოს სტრატეგიული კონცეფცია უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია,რომელიც საფუძვლად უდევს ნატოს თითოეულ მოქმედებას. იგი ასახავს ნატოს მტკიცე ბუნებას და მიზნებს,მის ფუნდამენტურ უსაფრთხოების საკითხებს. იგი ასევე განსაზღვრავს ძირითად მახასიათებლებს ახალი უსაფრთხო გარემოს შექმნის და უზრუნველყოფს სამხედრო ძალების ადაპტაციას ახალ უსაფრთხოების გამოწვევებთან.

პირველი სტრატეგიული კონცეფცია ნატომ 1949 წელს შეიმუშავა,რომელიც დამტკიცებულ იქნა 1950 წლის 6 იანვარს. ცივი ომის პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობები შემოიფარგლებოდა ორპოლუსიანი სისტემით,სადაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის იყვნენ აღმოსავლეთი და დასავლეთი. აქცენტი გაკეთებული იყო დაძაბულობასა და ქიშპობაზე, ვიდრე დიალოგის და თანამშრომლობის პრინციპზე. აშშ -ს და სსრკ-ს შორის მიმდინარეობდა შეჯიბრი სამხედრო ძალების და შეიარაღების უპირატესობების მოპოვებაზე.

1999 წელს მიღებულ ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც ალიანსის წევრი ქვეყნების, ისე არაწევრი ქვეყნების სამხედრო ძალების მობილურ მზადყოფნას კომბინირებული ოპერაციების ჩატარებისათვის.

2010 წლის 19-20 ნოემბერს შემუშავებულ იქნა ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია. „აქტიური ჩართულობა, თანამედროვე თავდაცვა", ეს დოკუმენტი არის ძალიან მკაფიო და მყარი განცხადება ნატო-ს ძირითად ამოცანებსა და პრინციპებზე, მის ღირებულებებზე, უსაფრთხოების გარემოსა და ალიანსის სტრატეგიულ მიზნებზე მომდევნო ათწლეულისგანმავლობაში.

საინტერესოა, რომ ნატოს წინა სტრატეგიულ კონცეფციასთან შედარებით რეგიონში გეოპოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა, უსაფრთხოების სფეროში გაჩნდა ისეთი ახალი გამოწვევები, როგორიცაა მეკობრეობა, კიბერ-ტერორიზმი, ენერგოუსაფრთხოება, არამზადა სახელმწიფოები, ტერორიზმი,ფუნდამენტურ გარემოსდაცვით პრობლემები და სხვ.

გარდა ამისა, თუკი ადრე ნატო ძირითადად ფოკუსირებული იყო ევროპასა და მის პერიფერიებზე, დღეს ეს არეალი გაცილებით დიდია. ამასთან ერთად ნატო მიზნად ისახავს თანამშრომლობის გზით საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობას,რაც გამოიხატება იარაღის კონტროლის, განიარაღების და გაუვრცელებლობის მცდელობების გაძლიერებით,ასევე ევროპულ სახელმწიფოებთან კოორდინაციით.

ეს სტრატეგიული კონცეფცია არის საფუძველი ნატოს ევოლუციის შემდეგი ფაზისა, რათა ორგანიზაცია იყოს ეფექტური ცვალებად მსოფლიოში, ახალი საფრთხეების წინააღმდეგ, ახალი შესაძლებლობებითა და პარტნიორებით.”

კონცეფციის მიხედვით, ნატოს ფუნდამენტური პრინციპები უცვლელი რჩება. ორგანიზაცია უზრუნველყოფს მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებასა და თავისუფლებას როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო გზებით. ნატო კვლავაც ერთგულია დემოკრატიის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების. ის კვლავაც განაგრძობს ჩრდილო ატლანტიკურ რეგიონში უსაფრთხოების დაცვას, როგორც ეს ვაშინგტონის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

ზოგადი დებულებების ჩამოყალიბების შემდეგ კონცეფცია აკონკრეტებს მისი საქმიანობის სამ ძირითად მიმართულებას. ესენია:

კოლექტიური თავდაცვა. მხარეები აცხადებენ, რომ ისინი ყოველთვის დაეხმარებიან ერთმანეთს თავდასხმის შემთხვევაში, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად.

კრიზისის მართვა. ნატო წარმოადგენს უნიკალურ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო შესაძლებლობები. სტრატეგიულ კონცეფციაში აღნიშნულია, რომ ორგანიზაცია გამოიყენებს ამ რესურსს როგორც კონფლიქტის წარმოშობამდე, ასევე, მიმდნიარეობისას და მისი დასრულების შემდეგაც.

კოოპერატიული უსაფრთხოება. ალიანსზე, გარდა მის წევრ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებისა, მოქმედებს მის ფარგლებს გარეთაც მომხდარი მოვლენები. ამიტომ, ნატოს წევრი სახელმწიფოები აცხადებენ, რომ სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით აქტიურად შეეცდებიან, შეინარჩუნოს საერთაშორისო უსაფრთხოება, რაც მოიცავს იარაღის კონტროლს, მის გაუვრცელებლობას და, ასევე, ევროპის ყველა დემოკრატიული ქვეყნისთვის ნატოს კარის ღიად დატოვებას.

კონცეფციაში მკაფიოდ არის დაფიქსირებული, რომ ორგანიზაციის მიზანი თავისუფალი და უსაფრთხო ევროპის შექმნაა, რომელიც საერთო ღირებულებებს იზიარებს; ამის მიღწევა კი ყველა მსურველი ევროპული ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციით შეიძლება.[5] ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ეფექტურად უნდა შეასრულოს სამი ძირითადი ფუნქცია:

ა) კოლექტიური თავდაცვა, ნატო-ს წესდების მე-5 მუხლის საფუძველზე.

ბ) ანტიკრიზისული მართვა.

გ) უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე.

ალიანსის სტრატეგიულ კონცეფციაში ნატო დიდ ყურადღებას ანიჭებს "პარტნიორობის, თანამშრომლობისა და დიალოგის" ფაქტორს, სადაც აქცენტი

[5] ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია და საქართველო http://ildb.blogspot.com/ 2011.

გამახვილებულია ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის განმტკიცებაზე.

სტრატეგიული კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ალიანსის შეიარაღებული ძალების დირექტივებს, სადაც ხაზგასმულია, რომ ნატო თავისი სტრატეგიული პრინციპების თანახმად ინარჩუნებს ყველა სახის მისიის შესრულებისათვის აუცილებელ სამხედრო საშუალებებს. კვლავ არის დადასტურებული ის ფაქტი, რომ ყველა მოკავშირის უსაფრთხოება განუყოფელია.

სამხედრო თავდასხმა ერთ წევრ სახელმწიფოზე ნიშნავს თავდასხმას ალიანსის ყველა წევრზე, ამიტომაც ნატოს სამხედრო ძალები მობილიზებული უნდა იყვნენ რომ ნებისმიერ დროს შეაჩერონ სამხედრო აგრესია და დაიცვან წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. ნატოს მიზანია საფრთხეების პრევენცია მათ საწყის სტადიაზე. ასევე მნიშვნელოვანია ალიანსის წვლილი "პარტნიორობა მშვიდობის პროგრამის" ფარგლებში ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არის რუსეთი, უკრაინა, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები.

კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც ალიანსის წევრი ქვეყნების, ისე არაწევრი ქვეყნების სამხედრო ძალების მობილურ მზადყოფნას კომბინირებული ოპერაციების ჩატარებისათვის.

ნატო ყურადღებას ამახვილებს სამხედრო ოპერაციების დროს ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხზე და ფართო სპექტრის მქონე პირადი შემადგენლობის მაღალ კვალიფიციურობაზე. საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ალიანსმა დამატებითი რეზერვები ჩართოს ოპერაციების განხორციელების პროცესში, მოახდინოს სარეზერვო ძალების მობილიზება და შეძლოს უფრო ქმედუნარიანი შეიარაღებული ძალების მშენებლობა. ასევე ალიანსის თავდაცვითმა სტრუქტურამ უნდა შეძლოს ბირთვულ და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების რისკებთან

გამკლავება. ნატოს ინფრასტრუქტურა უნდა იყოს დაცული ტერორისტული თავდასხმისაგან.

კონცეფციის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ ალიანსი – რომელიც შედის თავისი არსებობის მეექვსე ათწლეულში, მაქსიმალურად უნდა იყოს მობილიზებული შესაბამისი პასუხი გასცეს ახალი საუკუნის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, ხოლო ამ მიზნების განსახორციელებლად და ნატოს მომავალი სტარატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების მიზნით მნიშვნელოვანია ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის მიღება, რადგანც ეს დოკუმენტი წარმოადგენს ალიანსის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტს. [6]

თავი II. ნატოს როლი გლობალურ უსაფრთხოებაში

ნატო არის აქტიური და ლიდერი მშვიდობის დაცვის საკითხებში მსოფლიოს მასშტაბით. ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, ორგანიზაციის

[6]Strategic Concepts
https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_56626.htm#

ერთ-ერთი წევრის მიმართ აგრესია განიხილება, როგორც ნატოში შემავალი ყველა ქვეყნის მიმართ აგრესია. ხელშეკრულების ხელმომწერმა ქვეყნებმა შეიმუშავეს გეგმა მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად და პრობლემური საკითხების დიპლომატიური გზებით მოსაწესრიგებლად.

ნატო ცდილობს მშვიდობიანი გზებით მოაგვაროს მსოფლიოში არსებული პრობლემური საკითხები, თუმცა დიპლომატიური ხერხების გარდა ძალისმიერ მეთოდებსაც იყენებს – სამხედრო შენაერთებს, ურომლისოდაც რეალური შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.

ბოლო დროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, საინტერესოა, დაცვის რა ბერკეტები გააჩნია ნატო–ს დასავლეთ ევროპის უსაფრთხოებისთვის და როგორ აპირებს გაუმკლავდეს მოსალოდნელ საფრთხეებს. საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, თუმცა მისი მემკვიდრე, რუსეთი, კვლავ განაგრძობს ექსპანსიას, რისი მაგალითიცაა უკრაინის ტერიტორიის ოკუპაცია. ამ ფაქტის შემდეგ მედიაში სკეპტიკური მოსაზრებები გაჩნდა იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია ნატოს გაუმკლავდეს თანამედროვე გამოწვევებს. თუ რუსეთი გააგრძელებს ექსპანსიას, რამდენად შესწევს ალიანსს ძალა შეაჩეროს მისი დამპყრობლური პოლიტიკა და, ამასთან, ებრძოლოს ტერორიზმს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ნატოს მთავარ იარაღად რჩება კოლექტიური თავდაცვის პრინციპი – წვერ სახელმწიფოზე თავდასხმა განიხილება, როგორც ალიანსში შემავალ ყველა სახელმწიფოზე თავდასხმა. შესაბამისად რუსეთის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას დაუყოვნებლივ მოჰყვება შესაბამისი რეაქცია წევრი სახელმწიფოების მხრიდან. ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ყოველთვის პრიორიტეტულია კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი და დიპლომატიური გზები, თუმცა თუ რუსეთი გააგრძელებს ტერიტორიების მითვისებას ნატო იძულებული იქნება ძალისმიერი მეთოდები გამოიყენოს.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს გააჩნია ანგარიშგასაწევი ფინანსური და მატერიალური რესურსები. 29 წევრი ქვეყანა მზადაა დაიცვას ორგანიზაციის პრინციპები და იმოქმედოს შეთანხმების საფუძველზე. კოლექტიური თვითდაცვა აიძულებს სხვა ქვეყნებს თავი შეიკავონ ძალადობრივი მეთოდებისგან. რუსეთი ვერ გაბედავს შეუტიოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რადგან ეს ავტომატურად გულისხმობს ისეთ ძალასთან დაპირისპირებას, რომელსაც უამრავი რესურსი ექნება რუსეთის დასამარცხებლად. დიდი ბრიტანეთისთვის რუსეთი არ არის იმდენად სახიფათო, როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისათვის, თუმცა საფრთხის თავიდან ასაცილებლად მზად არის მანაც გაიღოს ხარჯები. ნატოს აქვს ერთიანი სტრუქტურა, სადაც თითოეული წევრი შეთანხმებულად მუშაობს და ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოების აზრს. ყავს მუდმივი ჯარი, რომელიც შედგება წევრ სახელმწიფოების სამხედროებისაგან.

ალიანსის ერთ-ერთი იარაღია ეკონომიკა, რომელიც სტაბილურობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ასევე, ორგანიზაციას კარგად გამოსდის ომის საფრთხეების შემცირება. ამისი ნათელი მაგალითი იყო ცივი ომის პერიოდი, როდესაც ნატომ შეძლო ძალადობრივი შეტევების პრევენცია. ნატო ცდილობს იპოვოს კრიზისული სიტუაციის დაძლევის გზები, რაც, ხშირ შემთხვევაში, ამართლებს კიდეც.

დღესდღეობით დასავლეთ ევროპას ტერორიზმისა და რუსეთის შესაძლო თავდასხმის ეშინია. ნატო აწარმოებს ანტიტერორისტულ ოპერაციებს სხვადასხვა რეგიონში, რაც ევროპასაც უქმნის უსაფრთხოების გარანტიებს. მართალია, ბოლო დროს გახშირდა ტერაქტები ევროპის ქვეყნებში, თუმცა, ვიმედოვნებთ, სიტუაცია დროთა განმავლობაში დასტაბილურდება და კრიზისულ მდგომარეობას მშვიდობიანი გარემო ჩაანაცვლებს, ამის თქმის საშუალებას გვაძლევს წარსული გამოცდილება და ორგანიზაციის რესურსები.

რაც შეეხება, რუსეთის მოსალოდნელ თავდასხმას, ამ შემთხვევაში ამოქმედდება კოლექტიური თავდაცვის სისტემა, ნატო გამოიყენებს ყველა რესურსს აგრესიის შესაჩერებლად და ამას უზრუნველყოფს ალიანსის სტუქტურული ერთიანობა. რუსეთი ვერც ბალტიისპირეთის ქვეყნებში გაბედავს ექსპანსიური პოლიტიკის გაგრძელებას. ნატო დიპლომატიური მისიით შეეცდება ომის თავიდან აცილებას, თუმცა თუ მშვიდობიანი მოლაპარაკება უშედეგოდ ჩაივლის ალიანსი ყველაფერს გააკეთებს ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს დასაცავად.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მშვიდობა და უსაფრთხოება გარანტირებულია და ის ამოცანა, რომელიც ნატომ დაისახა წარმატებით სრულდება. სამშვიდობო მისიები, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური და ტექნიკური დახმარებები უმთავრესი გარანტია ევროპის ქვეყნების უსაფრთხოებისთვის. წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნატოს შესწევს ძალა კვლავ დაიცვას საკუთარი წევრი სახელმწიფოები , რისთვისაც თავის მთელ რესურსებს იყენებს. [7]

2.1. ნატოს სამშვიდობო ოპერაციების გეოპოლიტიკური ასპექტები

ბოლო პერიოდში ნატო სამშვიდობო საქმიანობას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია გაეროს წესდების მე-7 თავში (რეგიონალური შეთანხმებები) და ნატოს შექმნის თაობაზე მიღებულ შეთანხმებაში. აქედან გამომდინარეობს, რომ ნატომ გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში გაეროს წესდების შესაბამისად უნდა იმოქმედოს, ე.ი. დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებას უნდა მისდიოს და უშიშროების საბჭოს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სამშვიდობო

[7] ნატო და დასავლეთ ევროპის უსაფრთხოება
http://yata.ge/ge/?p=1288 2017.

აქციების თაობაზე; და რაც მთავარია, იძულებითი მოქმედებები მხოლოდ უშიშროების საბჭოს ნებართვით შეიძლება გამოიყენოს.

ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსა და სხვა კომიტეტებს კარგი საკომუნიკაციო სისტემის, რეგულარული კოლექტიური წვრთნების პერიოდში შემუშავებული, პრაქტიკული სამხედრო აქციების მეშვეობით შეუძლიათ უზრუნველყონ როგორც, კონფლიქტის ,,გაფრთხილების'' მიზნით, ოპერაციის ჩატარებაზე სწრაფი გადაწყვეტილების მიღება, ისე, კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, ღონისძიებების განხორციელება.

ნატოს პოლიტიკის უკეთ კოორდინაციის მიზნით, ამერიკელი სამხედროები გვთავაზობენ დავუკავშიროთ ერთმანეთს მისი სამხედრო ამოცანები და სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების დამატებითი მიზნები და ყველა ეს ღონისძიება ერთობლივად შეტანილ იქნას საერთო სტრატეგიულ გეგმაში, მეთაურობის, კონტროლისა და კომუნიკაციის სტრუქტურაში, აგრეთვე სასწავლო პროგრამებში.

ნატოს საინფორმაციო სისტემებისა და ოპერაციების ჩატარების საბჭოს დირექტორი, ნატოს აღმასრულებელი მდივნის მოადგილე, ბ. გეცი, გვაძლევს სამშვიდობო მისიების შემდეგ კლასიფიკაციას:

1) პრევენტიული დიპლომატია (Preventive Diplomacy);

2) სამშვიდობო საქმიანობა - მშვიდობის დამყარება (Peacemaking);

3) მშვიდობის დაცვის ღონისძიებები (Peacekeeping);

4) მშვიდობის დამყარების კოლექტიური მოქმედება (Collective Peace Enforcement);

5) საქმიანობა მშვიდობის განმტკიცებისათვის (Peacebuilding).

პრევენტიული დიპლომატიის დროს მოქმედებები მიმართულია პოტენციური კონფლიქტური ზონების გამოსავლენად და სამხედრო ქმედებების დაწყების თავიდან ასაცილებლად. ისინი შეიცავენ ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა: არსებული მდგომარეობის შესახებ ფაქტიური ინფორმაციის შეგროვება, კონსულტაციები,

გამაფრთხილებელი მოქმედებები და სანქციები, ინსპექცირება. პრევენტიული დიპლომატია მიმართულია იქეთკენ, რომ კონფლიქტურ მხარეებს შორის დიალოგისათვის შექმნას პირობები, უზრუნველყოს ადრეული გაფრთხილებით კონფლიქტის შესაძლო დაწყება.

რაც შეეხება მშვიდობის ,,დამყარება" (Peacemaking) -ს. მას მიმართავენ კონფლიქტის დაწყების შემდეგ მის დასარეგულირებლად. ასეთი საქმიანობის ფარგლებში, კონფლიქტის მხარეების წარმომადგენლებს შორის შერიგების მიზნით, მშვიდობის მისაღწევად საჭირო პირობების შესამუშავებლად, ტარდება შეხვედრები და ღონისძიებები.

ისინი შეიცავენ ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებასა და განაწილებას, კონსულტაციებს და სოციალ-პოლიტიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში დახმარების გაწევას.

რაც შეეხება მშვიდობისდაცვით ოპერაციებს (peace-keeping), მშვიდობის დაცვის საშუალებები განსაზღვრავს სამშვიდობო ძალების საქმიანობას და მათი მხრიდან მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგებისა და ჰუმანიტარული დახმარების გაწევის განხორციელებას. ასე მაგალითად, უშიშროების საბჭომ ყოფილ იუგოსლავიაში ,,მშვიდობისდაცვით ძალებს" განუსაზღვრა სარაევოს აეროპორტის კონტროლი და დახმარების კორიდორის შექმნა.

რაც შეეხება მშვიდობის უზრუნველყოფის კოლექტიურ მოქმედებას (Collective Peace Enforcement), იგი გამოიყენება გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად.

ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მშვიდობის აღსადგენად და გასამტკიცებლად(Peacebuilding), ანუ პოსტკონფლიქტური სამშვიდობო საქმიანობა ითვალისწინებს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ახალი სახელმწიფოების ეროვნული შეიარაღებული ძალების ფორმირებაში დახმარების გაწევას, დემოკრატიის მშენებლობის პროცესში შეიარაღებული ძალების როლის საკითხებზე

კონსულტაციას, აუცილებელი სამხედრო ორგანიზაციებისა და სტრუქტურების ფორმირებაში ხელშეწყობას. [8]

გაეროს საქმიანობის რეალისტიკური დაგეგმვისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში ა.შ.შ-ს პოლიტიკის კარდინალური გადახედვის მომხრე, რ. მეინსი, გამოთქვამს ეჭვს, რომ უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრი სახელმწიფო, რომლებსაც ვეტოს დადების უფლება აქვთ, ვერ შეთანხმდებიან ყოფილი სსრკ-სა და ევროპის კონფლიქტურ ზონებში ამა თუ იმ პოლიტიკის გატარებაზე (ამის თვალსაჩინო მაგალითია, დღესდღეობით იუგოსლავიის მისამართით შექმნილი მდგომარეობა). მიზნების განსხვავებამ (რუსეთი და ჩინეთი) შეიძლება შეაფერხოს უშიშროების საბჭოში კონსტრუქციული გადაწყვეტილების მიღება.

რეალობა ისეთია, რომ სამშვიდობო ოპერაციები დიდი სახელმწიფოების ინტერესებს ემსახურება, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ თუ არ ელევიან ფსევდოსტრატეგიულ თუ ნაციონალურ ინტერესებს, რომლებიც შეიძლება ხანდახან წინააღმდეგობაში მოვიდეს კონფლიქტის სწრაფად გადაწყვეტის საერთაშორისო ძალისხმევასთან. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის მაგალითიც საკმარისია და არა მარტო იქ, ე.წ. ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების კონფლიქტებშიც, იგი თავისი მიზნებით მოქმედებს (ცნობილია, რომ უშიშროების საბჭოში რუსეთმა ვეტო დაადო აფხაზეთში საერთაშორისო დამკვირვებლების დასაცავად ორი ასეული საერთაშორისო ქვედანაყოფის გაგზავნას).

საერთოდ, სანამ ვეტოს პრინციპი არსებობს დიდი სახელმწიფოების ინტერესების შეჯერების საჭიროება აქტუალურია. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებიც ამ შეთანხმების შედეგი არის და იქნება. უნდა ვიმედოვნოთ, რომ დიდი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების, ჰუმანური საკითხების დაცვის საქმეში, აგრეთვე, პრინციპული ერთგულება და ურყევი პოზიცია

[8] THE CONCEPT AND TYPE OF PEACE OPERATIONS http://www.armyacademy.ro/reviste/rev1_2014/COJOCARU.pdf 2014.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და იდეალებისთვის იქნება ცალმხრივი გადაწყვეტილებების თავიდან აცილების გარანტი.[9]

2.2. კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიები

იუგოსლავიაში კომუნისტური მმართველობის პერიოდში 1989 წლამდე, უმეტესწილად ალბანელებით დასახლებულ კოსოვოს მხარეს გააჩნდა ფართო ავტონომია სერბეთის მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში. თუმცა 1989 წელს, იუგოსლავიის ყოფილმა პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა გააუქმა კოსოვოს ავტონომიური სტატუსი, დაუქვემდებარა რა იგი ბელგრადის უშუალო მმართველობას, რამაც ადგილობრივი ალბანელების აღშფოთება გამოიწვია. სიტუაციამ კულმინაციას მიაღწია 1998 წელს, როდესაც სერბ პოლიციელებსა და „კოსოვოს განთავისუფლების არმიის" მებრძოლებს შორის ღია კონფლიქტის შედეგად, დაიღუპა 1500-მდე ადამიანი, ხოლო 400 ათასამდე ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი. ამასთან დაკავშირებით, 1998 წლის 26 მაისს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების სესიაზე, კოსოვოს მიმართ განსაზღვრულ იქნა ნატოს ორი მთავარი მიზანი, კერძოდ:

- ✓ კრიზისის მშვიდობიანი გზით დარეგულირება;
- ✓ სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეზობელ სახელმწიფოებში, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნებოდა ალბანეთსა და მაკედონიაზე.

1998 წლის 12 აგვისტოს გავრცელდა ალიანსის გენერალური მდივნის განცხადება, სადაც აღნიშნული იყო რომ კოსოვოში სამხედრო დაპირისპირებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობის გაგრძელების შემთხვევაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იძულებული იქნებოდა დაეგეგმა შესაძლო სამხედრო-სამშვიდობო ოპერაციები კრიზისის აღმოფხვრის მიზნით. უკვე

[9] "სამშვიდობო ოპერაციების" არსი, ამოცანები და ფუნქციები https://www.militarium.org/samshvidobo-operaciebi/

თვენახევრის შემდეგ, 1998 წლის 24 სექტემბერს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ ისევ განიხილა კოსოვოში შექმნილი ვითარება და გამოაცხადა, რომ ალიანსი მზად იყო საჭიროების შემთხვევაში საჰაერო კამპანიის დასაწყებად.

კონფლიქტის პრევენციის მიზნით 24-25 ოქტომბერს ნატოს მაღალჩინოსნები, გენერლები უესლი კლარკი და კ. ნაუმანი ეწვივნენ ბელგრადს და შეხვდნენ იუგოსლავიის პრეზიდენტ მილოშევიჩს. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ბელგრადი ძალადობის შეჩერების აუცილებლობაში.

დიპლომატიუმა აქტიურობამ დროებითი შედეგი გამოიღო.

კოსოვოში ნატოს მოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ახლებურად გააზრების საქმეში, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო იმით, რომ შეიქმნა პრეცენდენტი რომ ნატოს ალიანსის ფარგლებს გარეთ განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომლის მთავარი მიზანი გახლდათ ეთნიკური წმენდის თავიდან აცილება, ძალადობის შეჩერება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დემოკრატიული ქვეყნების ალიანსმა სამართლიანობის აღდგენა და ზნეობრივი და მორალური ფასეულობების დაცვის პრინციპები არსებულ საერთაშორისო ნორმებზე მაღლა დააყენა და როდესაც ალიანსის ყოველგვარმა მცდელობამ კოსოვოში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა არ მოიტანა რეალური შედეგი იუგოსლავიის ხელისუფლების არაკონსტრუქციული პოზიციის გამო, ნატო იძულებული იყო განეხორციელებინა სამხედრო ოპერაცია სუვერენული სახელმწიფოს (იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის) წინააღმდეგ, რისი მიზეზიც როგორც ცნობილია გახლდათ ის მასშტაბური ეთნიკური წმენდა, რომელსაც მილოშევიჩის რეჟიმი ატარებდა კოსოვოელი ალბანელების, ანუ ამ ქვეყნის ეთნიკური უმცირესობის წინააღმდეგ.

საერთაშორისო სამართლის კუთხით ამ ოპერაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ის იყო, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში მისი მუდმივი წევრების - რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის პოზიციების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე ნატოს მიერ სამხედრო ოპერაციების განხორციელებას, ალიანსს იძულებულს ხდიდა ეწარმოებინა სამხედრო კამპანია გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე.

მას შემდეგ, რაც კოსოვოში სიტუაცია მნიშვნელოვნად გართულდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დადგა დილემის წინაშე,რა პოლიტიკა უნდა გაეტარებინა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს იმ შემთხვევაში, თუკი ნატოს ძალისხმევა და მისი პოლიტიკური ზეწოლა იუგოსლავიის ხელმძღვანელობაზე შედეგს არ გამოიღებდა და მილოშევიჩის ანტიდემოკრატიული რეჟიმი კვლავ გააგრძელებდა კოსოვოელი ალბანელების დევნასა და რეპრესიებს.

ნათელი იყო, რომ ამ შემთხვევაში, რაღაც ეტაპზე ნატო ბოსნიის კონფლიქტის მსგავსად იძულებული გახდებოდა გამოეყენებინა სამხედრო ძალა, თუმცა აქ როგორც უკვე აღინიშნა სიტუაციას ართულებდა საერთაშორისო სამართლში არსებული ნორმები, რომელთა საფუძველზე ძალის გამოყენება და მშვიდობის იძულებითი დამყარება შესაძლებელი იქნებოდა გაეროს წესდების VII მუხლის საფუძველზე, ხოლო ამ მუხლის პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღების შემდეგ, თუმცა ამის გაკეთება ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა, რადგან უკვე ცნობილი იყო რომ რუსეთი, სერბების მიმართ თავისი ცნობილი სიმპატიების გამო უთუოდ გამოიყენებდა ვეტოს უფლებას უშიშროების საბჭოში.

მოვლენათა ასეთი სცენარის მიხედვით განვითარებას შეეძლო უაღრესად დიდი და შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ავტორიტეტისათვის. ამასთანავე პრობლემა დაკავშირებული იყო არა მხოლოდ

ნატოს ავტორიტეტის შესაძლო შელახვასთან, არამედ კოსოვოში ძალადობის გაგრძელებას შეეძლო დამანგრეველი გავლენა მოეხდინა მეზობელ ქვეყნებზე და შესაძლოა მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

მეორეს მხრივ, დასავლეთში კარგად აცნობიერებდნენ იმ საშიშროებასაც, რომელიც ნატოს მიერ კოსოვოს კონფლიქტში ჩარევის შემთხვევაში შეიქმნებოდა ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში, და ეს იმ დროს, როდესაც მოსკოვში სულ უფრო ძლიერდებოდა ანტიდასავლური ტენდენციები, შესაბამისად სავსებით რეალური იყო, რომ გაეროს გვერდის ავლით-შესაბამისად რუსეთის თანხმობის გარეშე ალიანსის მიერ კოსოვოს პრობლემის მოგვარების მცდელობა რუსეთის დაკარგვის ტოლფასი შეიძლება გამხდარიყო. წინააღმდეგობებით აღსავსე სიტუაციის გამო, ნატოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც დაკავშირებული იყო ძალის გამოყენება-არგამოყენების შორის პრინციპული არჩევანის გაკეთებასთან, სჭირდებოდა მოკავშირეთა მტკიცე სოლიდარობა და გაბედული ნაბიჯების გადადგმა.[10]

ზემოაღნიშნული პრობლემებისა და დაბრკოლებების მიუხედავად, კოსოვოსა და მთლიანად რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარება აიძულებდა ალიანსს უფრო რადიკალური ზომები გაეტარებინა, რადგან რამდენიმე რაუნდიანი მოლაპარაკებათა პროცესის მიუხედავად 1999 წლის დასაწყისიდან იუგოსლავიის ხელისუფლებამ განახლებული ძალებით მიმართა რეპრესიებს კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგ, რაც იწვევდა ე.წ. კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგობას.

მშვიდობიანი მოსახლეობა იძულებული იყო მასიურად დაეტოვებინა თავიანთი საცხოვრებელი სახლები. უკვე 1999 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ლტოლვილთა

[10]NATO's role in Kosovo
https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_48818.htm 2017.

რაოდენობამ 210 ათასს მიაღწია. ევროპის შუაგულში იქმნებოდა ჰუმანიტარული კატასტროფის რეალური საშიშროება. დასავლეთის მედიასა და ფართო საზოგადოერივ წრეებში სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა ნატოს მიმართ კრიტიკა უმოქმედობის გამო. იუგოსლავიის ხელისუფლების ანტისახალხო პოლიტიკის გატარების ფონზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სულ უფრო სერიოზულად განიხილებოდა ძალის გამოყენების ალტერნატივა, რისთვისაც ალიანსის შესაბამის სამხედრო სტრუქტურებში სერიოზული სამხედრო მზადება დაიწყო. თუმცა ალიანსის აქტიურობისა და საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, ბელგრადის ხელისუფლება იძულებული გახდა განეახლებინა მოლაპარაკებები კოსოვოელ ალბანელებთან. მოლაპარაკებათა პროცესი გაიმართა 1999 წლის 6 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ რამბუიეში. მოლაპარაკებათა პროცესის სირთულე მდგომარეოდბა იმაში, რომ სერბები, რომლებიც თვლიდნენ კოსოვოს იუგოსლავიის შემადგენელ ნაწილად, არ თანხმდებოდნენ კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ძალების განლაგებას, რაშიც მათ მხარდაჭერას უცხადებდა რუსეთი.

თავის მხრივ, საკუთარ პოზიციას აფიქსირებდნენ კოსოვოელი ალბანელებიც, რომლებიც უარს აცხადებდნენ განიარაღებაზე, თუ ისინი კოსოვოს პოლიტიკური სტატუსის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების გარანტიებს არ მიიღებდნენ. საბოლოო ჯამში, დასავლეთის პოლიტიკური წრეების აქტიურობის შედეგად შესაძლებელი გახდა კოსოვოელ ალბანელთა დათანხმება შეთავაზებულ წინადადებაზე, მაგრამ ბელგრადის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო მარტის თვეში მოლაპარაკების პროცესი ჩაიშალა.

მარტის დასაწყისში ნატომ არაერთხელ გააფრთხილა ბელგრადის ხელისუფლება, რომ თუ იგი არ შეწყვეტდა სამხედრო ოპერაციებს და სამართლებრივი ნორმების უხეშ დარღვევას კოსოვოში, ალიანსი იძულებული იქნებოდა დაეწყო სამხედრო ოპერაცია.

მიუხედავად ამ მოწოდებისა, მილოშევიჩის რეჟიმმა იგნორირება გაუკეთა ნატოს წინადადებებს, რის საპასუხოდაც 1999 წლის 24 მარტს ნატოს თავდაცვის პოლიტიკისა და შეიარაღებული ძალების დაგეგმვის სამსახურის დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება ოპერაცია „გაერთიანებული ძალების" დაწყების შესახებ, რის შემდეგ იუგოსლავიის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ საჰაერო რეიდების განხორციელება სხდომის დამთავრებიდან რამდენიმე საათში დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ ნატომ გამოხატა თავისი მზადყოფნა დაეცვა ჟენევის 1949 წლის კონვენციის ყველა ნორმა და ოპერაცია განეხორციელებინა მხოლოდ იუგოსლავიის სამხედრო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ და მიეღო ყველა ზომა „თანმდევი ზიანის" (ჩოლლატერალ დამაგე) თავიდან ასაცილებლად, რაც თავის მხრივ ითვალისწინებდა სამოქალაქო ობიექტებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას. სამხედრო ოპერაციის მთავარ მიზნად დასახელდა იუგოსლავიის სამხედრო პოტენციალის შესუსტება და აქედან გამომდინარე, კოსოვოში ჰუმანიტარული კატასროფის საშიშროების მასშტაბების შემცირება.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა სამხედრო კამპანიის შესაჩერებლად იუგოსლავიის ხელმძღვანელობისაგან ხუთი ძირითადი პირობის შესრულება მოითხოვა:

- ✓ სამხედრო ოპერაციებისა და ძალადობის შეწყვეტა კოსოვოში;
- ✓ კოსოვოდან იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების გამოყვანა;
- ✓ კოსოვოში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგება;
- ✓ ლტოლვილების დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში და თანამშრომლობის დაწყება საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან, რათა ამ უკანასკნელთ საშუალება მისცემოდათ დახმარება გაეწიათ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის;

- ✓ კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების მიზნით რამბუიეში დაწყებული პროცესის გაგრძელება.

ნატო თავის მოქმედებაში საერთაშორისო სამართალზე მაღლა მორალურ საწყისსა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპს ანიჭებდა უპირატესობას და ეს შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციურ მოვლენად, რადგან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არსებული რეალობების გათვალისწინებით გარკვეულწილად თავის თავზე იღებდა გაეროს უფლებას მიეღო გადაწყვეტილება სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის ხელისუფლება კაცობრიობის წინაშე დანაშაულს ახორციელებს.

ყველა ხელმისაწვდომი დიპლომატიური საშუალების ამოწურვისა და სამშვიდობო მოლაპარაკებათა წარუმატებლობის შემდეგ ალიანსმა იუგოსლავიის ხელისუფლების სამხედრო და გასამხედროებული სტრუქტურების წინააღმდეგ საჰაერო იერიშების დაწყება გადაწყვიტა. სამხედრო საჰაერო კამპანია 1999 წლის 24 მარტს დაიწყო და 78 დღეს გაგრძელდა.

1999 წლის 23 აპრილს ვაშინგტონში ნატოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა კოსოვოს კონფლიქტთან მიმართებაში ალიანსის მიზნები დაამტკიცეს: საომარი მოქმედებების, ძალადობისა და რეპრესიების შეჩერება რეგიონში; კოსოვოს პროვინციის დემილიტარიზაცია; საერთაშორისო სამხედრო/სამშვიდობო მისიის ჩამოყალიბება; კოსოვოში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული პირების დაუყოვნებლივი და უსაფრთხო დაბრუნება სახლებში; ჰუმანიტარული დახმარების დაუბრკოლებელი მიწოდება ლტოლვილთათვის; პოლიტიკური შეთანხმების შემუშავება; კოსოვოსთან დაკავშირებით გაეროს ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების გამოსვლა კოსოვოდან დაიწყო სამხედრო-ტექნიკური ხასიათის შეთანხმების შედეგად, რომელსაც ნატოსა და იუგოსლავიას

შორის ხელი მოეწერა 1999 წლის 9 ივნისს. ნატოსა და ყოფილი იუგოსლავიის არმიის სარდლობას შორის სამხედრო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 1999 წლის 12 ივნისს, გაეროს მანდატის საფუძველზე, ნატომ რეგიონში ე.წ. კოსოვოს ძალები (Kosovo Force – KFOR) გაგზავნა,რომელიც 50 ათასს სამხედრო მოსამსახურეს შეადგენდა.

თავდაპირველად ნატოს ერთიანი სარდლობის ქვეშ კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციებში ჩაერთო ნატოს წევრი 18 სახელმწიფოს სამხედრო კონტინგენტი (ისლანდიამ კოსოვოში გააგზავნა სამედიცინო პერსონალი), და ასევე 20 ქვეყნის სამხედრო წარმომადგენლები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ ნატოს წევრ ქვეყნებს.

მათ დაევალათ: საომარი მოქმედებების განახლების დაუშვებლობა; კოსოვოს გამათავისუფლებელი არმიის განიარაღება; სარეკონსტრუქციო სამუშაოები; საარჩევნო პროცესებისა და სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ასპექტების განვითარების ხელშეწყობა; კოსოვოში გაეროს მისიისა (United Nations Missiom in Kosovo –UNMIK) და სხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჰუმანიტარული ოპერაციების მხარდაჭერა.

2001 წლის გაზაფხულზე, კოსოვოს საზღვართან მომხდარი შეტაკების დროს, რომელიც მოხდა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის სამხედრო ძალებისა და კოსოვოში არსებული ექსტრემისტულ დაჯგუფებებს შორის, KFOR-მა განახორციელა დამატებითი ღონისძიებები, მათ შორის გაძლიერდა სახმელეთო და საჰაერო პატრულირება, კონტრაბანდასთან და იარაღის ამოღებასთან ბრძოლა. ასევე უფრო გააქტიურებულ იქნა სხვადასხვა ტიპის სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება.

აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების პირველ ეტაპზევე, კოსოვოში გადმოსროლილ იქნა 4666 ტონა საკვები და

მედიკამენტები, 4325 ტონა სხვა დანიშნულების საგნები, 2624 ტონა ტვირთი კარვებთან ერთად და დაახლოებით 1600 ტონამდე სამედიცინო მოწყობილობა და მედიკამენტები. ნატოს აქტიურობის შედეგად თავიანთ სახლებში დაბრუნება შეძლო დაახლოებით 1 მლნ. 300 ათასამდე იძულებით გადაადგილებულმა პირმა.

2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს მთავრობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ ფაქტს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების დაძაბვა მოჰყვა. ნატოს პასუხისმგებლობა, კოსოვოში განევითარებინა უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო, დარჩა უცვლელი, ამიტომ ნატოს ოპერაცია კოსოვოში ამჟამადაც გრძელდება. ალიანსი გაეროს მისიასთან (UNMIK) მჭიდრო თანამშრომლობით ხელს უწყობს უფრო უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, მშვიდობიანი თანაცხოვრება შეეძლება.[11]

ნატოს როლი ავღანეთში

2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა აშშ-ში განლაგებული სამიზნეების წინააღმდეგ მასობრივი განადგურების იარაღად სამგზავრო თვითმფრინავები გამოიყენეს. მეორე დღეს, 12 სექტემბერს პირველად ალიანსის ისტორიაში, მოკავშირეებმა აამოქმედეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი (ნატოს კოლექტიური თავდაცვის მუხლი) და ამით დაადასტურეს, რომ ნატოს ერთ-ერთ წევრზე თავდასხმა წარმოადგენს თავდასხმას ალიანსის ყველა წევრზე. ალიანსმა მიიღო შესაბამისი ზომები ამერიკის შეერთებული შტატების მხარდასაჭერად.

მან ოპერატიულად განათავსა ხომალდები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, რათა კოორდინაცია გაეწია და გამოეაშკარავებინა ის გემები, რომლებიც

---

[11]ნიკაჩიტაძე-ნატოჩრდილოატლანტიკურიალიანსიმსოფლიომშვიდობისა დასტაბილურობისმთავარიგარანტი.თბილისი2007წ.

ტერორისტულ საქმიანობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. ამ რეგიონში ხომალდების განთავსება და მათი პატრულირება ხდება აქტიური ძალისხმევის ოპერაციის (Active Endeavor) სახელით, რომელიც დღეს მთელ ხმელთაშუა ზღვის რეგიონს მოიცავს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიის განმავლობაში ორგანიზაციის მისია ავღანეთში იყო ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია, ევროატლანტიკური სივრცის გარეთ.[12]

2001 წლის დეკემბერში, ავღანეთიდან ტერორისტული დაჯგუფება ალქაიდასა და თალიბების დამარცხების შემდეგ, ავღანეთის ოპოზიციის ლიდერებმა ბონში (გერმანია) გამართეს კონფერენცია, რომელზეც განიხილეს ქვეყნის აღდგენისა და სამომავლო განვითარების პროცესი. შეხვედრაზე გადაწყდა ახალი სახელმწიფო სტრუქტურის – ავღანეთის დროებითი ხელისუფლების ჩამოყალიბება და ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (International Security As- sistance Force – ISAF) ფორმირება. 2002 წლის იანვარში ავღანეთის დროებითმა ხელისუფლებამ და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების სარდლობამ ხელი მოაწერეს სამხედრო-ტექნიკურ ხელშეკრულებას (Military Technical Agreement), რომელშიც განისაზღვრა ISAF - ის ამოცანები.

თავდაპირველად ISAF-ის მისიას ექვსთვიანი ვადით ცალკეული ქვეყნები ხელმძღვანელობდნენ და ოპერაციებზე პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებოდათ. 2003 წლის აგვისტოდან საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებზე სრული ხელმძღვანელობა ნატოს გადააბარეს. ISAF წარმოადგენდა გაეროს მანდატით მოქმედ საერთაშორისო ძალებს, რომელიც აერთიანებდა სამხედრო მოსამსახურეებს 51 ქვეყნიდან.

[12] საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ
http://infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/#1

მისიის მიზანია ავღანეთის მთავრობისათვის დახმარების გაწევა უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას.

საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებს ევალება:

• ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებთან თანამშრომლობით ერთობლივი სამხედრო ოპერაციების ჩატარება;

• ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების, ავღანეთის ეროვნული არმიის, პოლიციის და სხვა სტრუქტურების განვითარების მხარდაჭერა;

• ავღანეთის მთავრობის მხარდაჭერა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღების პროცესში;

• ჰუმანიტარული ოპერაციების მხარდაჭერა;

• ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერა ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებში;

• ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული საჯარო საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭერა;

• ავღანეთის მიერ სამოქალაქო და სამხედრო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

ერთი წლის შემდეგ ნატოს ძალებმა მიიღეს გადაწყვეტილება მომდევნო ეტაპზე ავღანეთში გაგზავნილ ყოფილიყო დამატებითი კონტინგენტი, ე.წ. „აღდგენის პროვინციული ჯგუფები". ეს იყო სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებდნენ ავღანეთის პროვინციებში და ხელს უწყობდნენ ქვეყნის ხელისუფლებას, გაეძლიერებინა თავისი ძალაუფლება და უსაფრთხოება ავღანეთის რეგიონებში; იცავდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების უსაფრთხოებას; მონაწილეობდნენ სკოლების, სამედიცინო დაწესებულებებისა და წყლის სისტემების

აღდგენით სამუშაოებში; მხარს უჭერდნენ სამოქალაქო და სამხედრო პროექტების განხორციელებას.

ISAF-ის გაფართოებული ყოფნა მიმდინარეობდა ცხრა პროვინციაში ქვეყნის ჩრდილოეთით, საერთო ფართობით 185 ათასი კვადრატული კილომეტრი, მათ შორის 3600 კვადრატულ კილომეტრს ქაბულთან და მის შემოგარენთან.

ეს იყო ნატოს პირველი სამხედრო სახმელეთო ოპერაცია. ალიანსი 1999 წელს კოსოვოშიც ომობდა, მაგრამ მაშინდელი კომპანია მხოლოდ საჰაერო გახლდათ. ნატოს სახმელეთო ჯარები კოსოვოში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ მას შემდეგ რაც იქ საომარი მოქმედებები იუგოსლავიის არმიის წინააღმდეგ დასრულდა, და ამის შემდეგ იქ დაღუპულთა უმრავლესობაც საგზაო შემთხვევებს ემსხვერპლა. ავღანეთში კი, მას შემდეგ რაც ალიანსმა 2006 წლის ზაფხულიდან ავღანეთის სამხრეთიც „ჩაიბარა", ნატოელი ჯარისკაცები სწორედ სამხედრო მოქმედებების შედეგად იღუპებიან.

გენერალმა რიჩარდსმა რამდენჯერმე მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას, რათა რამენაირად გაეუმჯობესებინათ სამხრეთ ავღანეთის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს რეგიონი თალიბანის რიგების შესავსებად კვლავაც უნოყიერეს ნიადაგად დარჩებოდა. ის, რომ თალიბთა მიერ ძალაუფლების უკუპყრობა სახიფათო იქნებოდა არამარტო ავღანეთის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, არავის, ეჭვს აღარ იწვევდა.

2013 წლის 23 აპრილს ნატოს შტაბ-ბინაში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალის ფარგლებში, გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა ISAF-ის ფორმატში. შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა ავღანეთში 2014 წლის შემდგომი ჩართულობის პოლიტიკაზე და ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების გრძელვადიანი მხარდაჭერის საკითხებზე ისაუბრეს.

ნატოს მისია ავღანეთში, რომელიც 13 წელიწადი გრძელდებოდა, 2014 წლის 28 დეკემბერს ოფიციალურად დასრულდა. ავღანეთმა დროთა განმავლობაში აჩვენა, რომ სამხედრო ოპერაციებს საკუთარი თავდაცვითი ძალებით, ISAF - ის მისიის საბრძოლო შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე შეძლებდა. ნატოს ახალი პროგრამა - მტკიცე თანამშრომლობის მისია ავღანეთში 2015 წლიდან ამოქმედდა (RSM _ Resolute Support Mission in Afghanistan). ის სასწავლო და საკონსულტაციო ხასიათს ატარებს და ავღანელი სამხედროების დახმარებას ისახავს მიზნად.

გადამწყვეტი მხარდაჭერის მისია ავღანეთში 2015 წლიდან დაიწყო ახალი, ორწლიანი მისია, სახელწოდებით, გადამწყვეტი მხარდაჭერა. მისიის ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეების მოვალეობა, უმთავრესად, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების გაწვრთნაა. ამ ოპერაციაში 42 ქვეყანა მონაწილეობს, სულ - 13.195 მოსამსახურე. საქართველო 2015 წლიდანვე ჩაერთო ავღანეთში ნატოს გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით, რიგით მეორე კონტრიბუტორია.[13]

2.3 ნატოს წინაშე არსებული ახალი სამხედრო მისიები და გამოწვევები

უსაფრთხოების მზარდი საფრთხე, რომელმაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში უპრეცედენტო და წარმოუდგენელ მაჩვენებელს მიაღწია, გახდა არაპროგნოზირებადი, არატრადიციული და ასიმეტრიული,რამაც გამოიწვია ალიანსის როლის და მისიის ტრადიციული აღქმის გადაფასება. თანამედროვე უსაფრთხოების მოვლენები, რომლებიც წარმოშვა გლობალიზაციისა და ტექნოლოგიების განვითარებამ, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია

12 International Peacekeeping: NATO‘s Comprehensive Approach and itsapplication in Afghanistan.
https://skemman.is/bitstream/1946/12636/1/Andri-Thesis-Afghanistan.pdf 2011.

უსაფრთხოების სისტემაში,სწორედ ამიტომ ნატოს იძულები გახდა შეეცვალა თავისი სტრუქტურა და პოლიტიკა ახალი გამოწვევების საპასუხოდ.

ამ ცვლილებების გამო ნატო-ს უსაფრთხოების მიზნებიდან თანდათან გადავიდა ტრადიციული კოლექტიური თავდაცვა, რომელიც გლობალური საკითხების მოგვარების სხვა ფორმებს საჭიროებს. ნატომ ყურადღება გაამახვილა კრიზისულ მართვასა და კოლექტიურ უსაფრთხოებაზე, რომელიც ალიანსის როლს განსაზღვრავს, როგორც მოქნილი, დეცენტრალიზებული და ინკლუზიური სტრუქტურა, რომელიც გლობალური და პრევენციული მიდგომით გლობალური უსაფრთხოების გამოწვევებს პასუხობს.

ნატოს ბოლო ორი სამიტი ძირითადად რუსეთისგან მომავალი საფრთხეების შეკავებას დაეთმო. 2016 წლის ვარშავის სამიტზე ალიანსის წევრები ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთში მულტინაციონალური ბატალიონების ჩაყენებაზე შეთანხმდნენ. სამხედრო მისიას Enhanced Forward Presence ეწოდა, რომლის მიზანი არამარტო რუსული საფრთის შეკავება, არამედ ალიანსის მიერ აღმოსავლეთ ევროპელი წევრი ქვეყნებისადმი მის თანადგომაში დაწრმუნებაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე,ნატომ გააძლიერა თავისი პოზიცია ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში და პოლონეთში ოთხი მრავალეროვნული ბატალიონის ზომის ბრძოლის ჯგუფებთან ერთად, როტაციის წესით. ლატვიაში კანადური, ხოლო ლიტვაში გერმანული ბატალიონები განთავსდნენ. პოლონეთში კალინინგრადის ოლქის საზღვართან ახლოს ამერიკული სამხედრო დანაყოფები იმყოფებიან.[14]

[14] New Threats and Challenges Await NATO https://www.fairobserver.com/region/europe/nato-and-the-european-union-international-security-news-23393/ 2016.

ამას გარდა, რუმინეთში ოთხი Eurofighter Typhoon-ის ტიპის მრავალფუნქციური საბრძოლო თვითმფრინავი განთავასდა, რომლებიც სამხრეთის საჰაერო სივრცეში პატრულირებას ანხორციელებენ. ეს არის ყველაზე დიდი გაძლიერება ალიანსის კოლექტიური თავდაცვის ახალ თაობაში.ნატო ასევე მიმართულია,როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ალიანსის დაცვისკენ,ასევე შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე.

აღნიშნული სამხედრო მისია რუსულ პოლიტიკურ ელიტაში გაღიზიანებას იწვევს. რუსი პოლიტიკური ლიდერები ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს ევროპაში სიტუაციის დაძავაბში ადანაშაულებენ.

ასევე ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს ალიანსის წევრების თავდაცის ხარჯების ზრდა. აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა არაერთხელ გამოთქვა ალიანსის მიმართ უკმაყოფილება, რადგან ორგანიზაციის საბიუჯეტო ტვირთი არასმართლიანადაა გადანაწილებული. ალიანსის გენერალურმ მდივნმა იენს სტოლტენბერგმა ამერიკული მოთხოვნა პოზიტიურ ნაბიჯად შეაფასა.

მისი თქმით, ტვირთის გადანაწილება მხოლოდ ფინანსებში არ გამოიხატება და რომ წევრმა ქვეყნებმა ერთობაში საკუთარი წვლილი შეიარაღებით, სამხედრო ძალებით და ნატოს საერთაშორისო მისიებსა თუ ოპერაციებში მონაწილეობის მიღებითაც უნდა შეიტანონ.

ტერორისტული საფრთხე უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსოფლიოსთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. თანამედროვე ტერორიზმის გლობალურმა ხასიათმა ტერორიზმის საშინაო და საერთაშორისო ფორმებს შორის არსებული საზღვარი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა.2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ იგი ამერიკის შეერთებული შტატებისათვისაც უპირველეს საფრთხედ იქცა

2017 წლიდან, ნატო გლობალური კოალიციის წევრია ISIS- ის დამარცხების მიზნით. როგორც კოალიციის წევრი, ნატო უკვე მრავალი წელია საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მათ შორის ავღანეთში გრძელვადიანი ოპერატიული ჩართულობით, სადაზვერვო საქმიანობით და პარტნიორებთან მუშაობით ევროატლანტიკურ სივრცეში და მის ფარგლებს გარეთ სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით.

ბრიუსელში 2017 წლის სამიტზე განსახილველ თემებს შორის იყო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან მომავალი საფრთხეები, მათ შორის ტერორიზმის საფრთხის საწინააღმდეგო ქმედებებიც. ვარშავის სამიტის კომუნიკეს თანახმად, ტერორიზმი „წარმოადგენს უშუალო და პირდაპირ საფრთხეს".

ნატო ფორმალურად არ არის ერაყსა და სირიაში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედი კოალიციის წევრი, თუმცა სადაზვერვო საქმიანობისთვის კოალიციას საკუთარი AWACS-ებით (advanced Airborne Warning and Control System) ეხმარება. ნატო ხელმძღვანელობს ერაყის შეიარაღებული ძალების საწვრთნელ პროგრამას.

ნატო ქმნის ახალ რეგიონულ ჰაბს სამხრეთში, რომელიც ნეაპოლში იქნება ბაზირებული. მისი მიზანია ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე ცვლილებების მონიტორინგი და ინფორმაციის შეგროვება.

ტერორიზმის საფრთხის არსებობის ეპოქაში ბირთვული ომის რისკი განსაკუთრებით სერიოზულ მუქარად იქცა. ბირთვული იარაღის გავრცელება ახალი მუქარის ასპექტია, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის ეპოქაში კაცობრიობის მომავალი ძლიერ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებაზეა დამოკიდებული. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მარტომ იტვირთოს საკუთარი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა.

კიბერ-ტერორიზმი გლობალიზაციასა და ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად გაიზარდა კიბერ-ტერორიზმის საფრთხე. გლობალური გამოწვევების ერთ-ერთ კომპონენტად განიხილება გლობალური ქსელი - ინტერნეტი და კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეები: კიბერომი, კიბერშეტევა, ან სხვადასხვა სახის კიბერდანაშაულები, რომლებმაც შესაძლოა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს საერთაშორისო უსაფრთხოება და ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები გარკვეულ შესაძლებლობებს აძლევს ავტორიტარულ რეჟიმებს, რეპრესიულ ხელისუფლებას, ტერორისტულ ორგანიზაციებს, კრიმინალურ სამყაროს, მით უფრო დღეს, როცა კიბერ და საინფორმაციო უსაფრთხოების საკითხებმა სპეცილიზირებული კონფერენციებიდან საჯარო პოლიტიკის სფეროში გადაინაცვლა.

კიბერ-ტერორიზმი პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობაა, მშვიდობიანი, არამებრძოლი სამიზნის წინააღმდეგ, რაც გამოხატულია ინფორმაციაზე, კომპიუტერულ სისტემებზე, პროგრამებსა და მონაცემთა ბაზებზე შეტევასა და განადგურებაზე.

2007 წლის 14 ივნისს, მას შემდეგ, რაც ესტონეთზე განხორციელდა მასიური კიბერ შეტევა, ნატოს წევრ სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები შეთანხმდნენ, რომ კიბერ ტერორიზმის წინააღმდეგ უფრო აქტიური ბრძოლა იყო საჭირო. ამის გამოძახილი იყო ნატოს მიერ ესტონეთში კიბერ თავდაცვის ცენტრის შექმნა.

ამასთან ერთად ნატოს ახალ გამოწვევად გვევლინება **ჰიბრიდული ომი**. ომის მთავარ შემადგენელ კომპონენტად ინფორმაციული ომი მიიჩნევა, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შეღწევის გზით მასაზე ზეგავლენის მოხდენას, ამა თუ იმ იდეის მხარდაჭერის მოპოვებასა და დამკვეთის პოლიტიკის გატარებას გულისხმობს.

ინფორმაციულ ომში იგულისხმება ინფორმაციულ-პროპაგანდისტულ, ფსიქოლოგიურ და კიბერ საშუალებები, ასევე, „ჰიბრიდული ომის“ მახასიათებელია

ფინანსური არხების, რესურსებისა და ფარული ხასიათის სამხედრო საშუალებების ინტეგრირებული გამოყენება.

ნატო-ში „ჰიბრიდულ ომს“ უწოდებენ ტაქტიკას, რომლის დროს ჩვეულებრივი სამხედრო საშუალებები არ გამოიყენება. ომი შეიცავს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ელემენტებს, ასევე, ეკონომიკური ზეწოლისა და სპეცდანიშნულების ძალების ფარულ გამოყენებას. ომის ამ სახეობას „რბილ ძალადაც“ მოიხსენიებენ.

ამგვარი კონფლიქტის ნათელი მაგალითია რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ. რუსული სამხედროების გამოჩენა ყირიმში ამოსაცნობი ნიშნების გარეშე („შენიღბული სახეებით, ფარული მართვითა და კონტროლით“), რაც ამ სახის ომის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია.

აღსანიშნავია უკრაინაზე განხორციელებული კიბერშეტევები. რუსეთის ქმედებები უკრაინასთან მიმართებაში კარგი მაგალითია იმისა თუ როგორ შეიძლება კიბერ-ოპერაციების ინტეგრაცია კონვენციურ სამხედრო მოქმედებებში. შესაძლებელია ითქვას, რომ “ჰიბრიდული ომის” თეორიას რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა ჩამოყალიბებული სახე მისცა.

ნატო-მ „ჰიბრიდული ომისგან“ მომდინარე საფრთხეებთან ბრძოლის შესახებ 2015 წლის დეკემბერში ახალი სტრატეგია მიიღო. როგორც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში, ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე განაცხადა, ალიანსი ახალი სტრატეგიის განხორციელებისას, ქმედებებს ევროკავშირთან შეათანხმებს, რადგან ჰიბრიდული ომი შეიცავს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ელემენტებს. ჰიბრიდული ომის, როგორც კონფლიქტის ახალი ფორმის, აღმოცენება ძირეულად ცვლის უსაფრთხოების არსებულ ლანდშაფტს და უამრავ კითხვას აჩენს უსაფრთხოების არსებული ინსტიტუტების შესაძლებლობების შესახებ.

ამ საფრთხეების შეკავების და დაძლევისთვის აუცილებელია სახელმწიფოთა მიერ მრავალი მიმართულებით ერთიანი სტრატეგიული მიდგომის შექმნა და, რა თქმა უნდა, კოორდინებული მოქმედებების განხორციელება. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ვარშავაში მიიღეს ნატო-ევროკავშირის საერთო დეკლარაცია. ნატოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ფართოვდება. თანამშრომლობის ძირითადი სფეროებია კიბერ უსაფრთხოება, ჰიბრიდული ომის გამოწვევები, საზღვაო უსაფრთხოება.

ვარშავის სამიტზე ალიანსმა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცესთან ერთად კიბერსივრცის უსაფრთხოებაც სამოქმედო არეალად გამოცხადა. თებერვალში წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა კიბერ თავდაცვის გეგმა განაახლეს. აპრილში ყველაზე მასშტაბური კიბერ წვრთნები ესტონეთში ჩატარდა.

ამასთან ერთად 2017 წლის **ბრიუსელში გამართული სამიტის შედეგად**, პარტნიორებმა დეკლარაცია მიიღეს, რომელშიც თანამშრომლობით მიღწეული შედეგები და მიღწევები შეაჯამეს და სამომავლო პრიორიტეტები განსაზღვრეს. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი ყურადღებას ამახვილებს მოქალაქეთათვის პრაქტიკული და ხელშესახები შედეგების აუცილებლობაზე. სამიტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კარგი მმართველობისა და ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების და ხალხთა შორის კონტაქტების მნიშვნელობაზე.

2018 წლის ბრიუსელის სამიტიც სწორედ ამ ზემოაღნიშნულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის გზებს დაეთმობა.[15]

---

[15]Collective Defence- NATO's Mission: New threats to security and the transformation of the alliance
http://www.atahq.org/2018/02/collective-defence-natos-mission-new-threats-security-transformation-alliance/ 2018.

თავი III. ნატო საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ძირითადი ასპექტები

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. აღნიშნულის მისაღწევად 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები,რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან, საფუძველს იძლევა,რომ ასპირანტი ქვეყანა ჩვენი სახით მალე შეძლებს გახდეს ნატოს სრულუფლებიანი წევრი.

ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციაში შესვლას რამდენიმე დადებითი ფაქტორი ახლავს თან. მაგალითად გეოსტრატეგილი ფაქტორი იქნება ის რომ, საქართველოსთვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება და კონკრეტულად

ნატოს სრულუფლებიანი წევრობა უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისგან თავდაცვისა და მისი ინტერესების დაბალანსების საქმეში. მეორეს მხრივ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა საქართველოს დაეხმარება საერთაშორისო მასშტაბის დონის მქონე არანაკლებ საშიში გამოვლენის, რადიკალური ისლამის აგრესიის მოგერიებაში. ასევე, საქართველოს უფრო გაუადვილდება თანამედროვე პერიოდის ისეთ უმთავრეს საფრთხეებთან და გამოწვევებთან განმკლავება, როგორებიც გახლავთ: ტერორიზმი, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების უკანონო გადაადგილება, ნარკობიზნესი, ორგანიზებული დანაშაულებათა ქსელები და საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაცია.

,,ცივილიზაციური" ფაქტორი: ნატოს წევრობა საქართველოსთვის შექმნის მყარ საფუძველს ევროატლანტიკურ სივრცეში სრულად ინტეგრირებისათვის. ალიანსის სრულუფლებიანი წევრობა და ნატოს საქმიანობაში მონაწილეობა კიდევ უფრო განამტკიცებს ,,ევროპელი"-ის სტატუსის აღქმას ქართულ საზოგადოებაში და დასავლური ფასეულობების გაზიარებით ერთიან ევროპულ ოჯახში სრულად დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

,,პოლიტიკური" ფაქტორი: ალიანსში გაწევრიანება ხელს შეუწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო პრინციპების განვითარებას საქართველოში და სტიმულს მიცემს მათი რეალური დამკვიდრების პროცესს.

ასევე გამოვყოფდი სამხედრო და ეკონომიკურ ფაქტორებს.

სამხედრო ფაქტორი: დღევანდელ ეტაპზე საქართველოს თავდაცვითი რესურსები არასაკმარისია ყველა იმ შიდა თუ გარე საფრთხესთან გასამკლავებლად, რომელსაც მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს და ასევე ყველა იმ გამოწვევების მისაღებად, რომელიც თანამედროვე ეპოქაში არსებობს მთელ მსოფლიოში.

ეკონომიკური ფაქტორი: ეკონომიკური განვითარების შედეგად, საქართველო კიდევ უფრო განიმტკიცებს თავის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ასევე ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია დაეხმარება ეკონომიკის სექტორში ინვესტიციების,ექსპორტ-იმპორტის გაზრდას,რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სიძლირეს განაპირობებს.

3.1. ნატო-საქართველოს ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება

ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ნატო-ს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC), რომელიც 1997 წელს შეიცვალა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთი (EAPC - Euro-Atlantic Partnership Council).

შემდეგი ნაბიჯი გახლდა 1994 წელი, როდესაც საქართველო გახდა ნატო-ს ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის" (PfP - Parntnership for Peace) პროგრამის თანამონაწილე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში ერთობლივად იმართება სამხედრო წვრთნები და სამეთაურო-საშტაბო სწავლებები. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სემინარებსა და კონფერენციებში.

ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში აღსანიშნავია 2002 წელს პრაღაში გამართული ნატო-ს სამიტი, სადაც საქართველომ პირველად გააჟღერა ნატო-ში გაწევრიანების სურვილი.

2004 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP – Individual Partnership Action Plan), რაც გულისხმობდა დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომლის

ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე კონკრეტული ვალდებულებები აიღო. ნატო-ს საერთაშორისო სამსახური IPAP-ის განხორციელების შეფასებას ყოველწლიურად ახორციელებდა. 2004-2008 წლებში სულ 5 შეფასება განხორციელდა (4 ოფიციალური და 1 არაოფიციალური შეფასება). საქართველოს ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოვების მიზნით 2006 წლის 21 სექტემბრიდან ალიანსმა დაიწყო თანამშრომლობა საქართველოსთან "გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის" (ID – Intensified Dialogue on Membership Issues) ფარგლებში.

ID-ის ფორმატში ნატო-საქართველოს შორის მრავალი კონსულტაცია გაიმართა პოლიტიკურ, უსაფრთხოების, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების, თავდაცვის, სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის, ეკონომიკურ, მეცნიერების, განათლების საკითხებზე და სხვა.

2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ნატო-ს ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდგომ მოკავშირეებმა გამოთქვეს მზადყოფნა საქართველოს მთელი რიგი სფეროების რეაბილიტაციაში დასახმარებლად და მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის (NGC - NATO-Georgia Commission) შექმნის თაობაზე.

2008 წლის დეკემბერში, ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს საქართველოსთვის ნატოში ინტეგრაციის ახალი მექანიზმის - წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) მიღების საკითხს. აღსანიშნავია, რომ ნატო-ს გაფართოების პოლიტიკის პრაქტიკიდან გამომდინარე, ANP ხორციელდება მხოლოდ MAP-ის (Membership Action Plan) მქონე ქვეყნების მიერ, აქედან გამომდინარე საქართველოს მაგალითი უპრეცედენტოა. წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელება ხელს უწყობს

ქვეყნის ნატო-ს სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოებას. ამჟამად, საქართველო ახორციელებს წლიური ეროვნული პროგრამის VII ციკლს.

რაც შეეხება ნატოს ,,გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“-ს (MAP). 1999 წლის 23-24 აპრილს ვაშინგტონის სამიტმა ნათლად ცხადყო ის, რომ ნატოს გაფართოება გარდაუვალი იყო. მასში განსაზღვრულია ის კონკრეტული სფეროები,ზოგადი კრიტერიუმების ნუსხა და მათი აღსრულების მექანიზმები, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ნებისმიერი მსურველი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებისათვის მზადყოფნის დადგენა (ნატო-ს ტერმინოლოგიით ,,ასპირანტი“ ქვეყენა). გეგმა მოიცავდა ხუთ ძირითად თავს.

1) პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები

2) თავდაცვის და სამხედრო საკითხები

3) რესურსების მართვის საკითხები

4) საინფორმაციო უშიშროების საკითხები

5) სამართლებრივი საკითხები

2016 წელს ვარშავაში NATO-ს მორიგ სამიტზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ნაწილი ჩვენთვის MAP-ის (ალიანსში გაწევრების სამოქმედო გეგმა) მონიჭებას ელოდა, მაგრამ ეს სათუოა, რადგან ალიანსში კიდევ უფრო აშინებთ "რუსული დათვის" აჩრდილი და აქედან გამომდინარე, ვერ მივიღეთ ალიანსში გაწევრების სამოქმედო გეგმა.

2011 წლის 7 დეკემბერს ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტერიალის შეხვედრა, რომლის შედეგად საქართველო მოიხსენიეს ასპირანტ ქვეყნად მონტენეგროს, ბოსნია-ჰერცეგოვინას და იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად. საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია 2012 წელს გამართულ ჩიკაგოს

სამიტზე ქართული მხარის მონაწილეობა სამიტის ყველა შეხვედრაში (გარდა უშუალოდ ნატო-ს წევრი სახელმწიფოების შეხვედრისა).

მთლიანობაში საქართველოში განხორციელდა ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს სამი ვიზიტი - 2008, 2011 და 2013 წლებში, რაც წარმოადგენს უპრეცედენტო რაოდენობას საბჭოს მიერ არაწევრ ქვეყნებში განხორციელებული ვიზიტების კუთხით. 2014 წელს ნატოს უელსის სამიტზე საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი ღონისძიებათა პაკეტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და ალიანსთან თავსებადობის გაზრდას, რაც დაეხმარება საქართველოს ალიანსში გაწევრიანებისთვის მომზადებაში. პაკეტის ეფექტიანად განსახორცილებელად აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სამუშაოები ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების უშუალო ჩართულობითა და მხარდაჭერით.

ასევე, უელსში, ალიანსის გადაწყვეტილებით ''პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივის" (Partnership Interoperability Initiative) ფარგლებში, საქართველო შვედეთთან, ფინეთთან, ავსტრალიასა და იორდანიასთან ერთად ჩაერთო და გაწევრიანდა თავსებადობის პლატფორმისა (Interoperability Platform) და გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორების ჯგუფში (Enhanced Opportunity Partners Group). ამასთან, საქართველო ჩაერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების ზრდის ინიციატივაში, რომლის მიზანია გააძლიეროს ნატო-ს ურთიერთობები პარტნიორ ქვეყნებთან და დაეხმაროს ალიანსს სტაბილურობის უზრუნველყოფაში მრავალრიცხოვანი საბრძოლო დანაყოფების გამოყენების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ უელსის სამიტზე მიღებული კომუნიკეს მიხედვით, მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი, რითაც კვლავ გაესვა ხაზი ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილებას. ამასთანავე,

ნატო-ს კომუნიკეში ჩაიწერა, რომ საქართველოს აქვს ინსტრუმენტები, რომლებიც საჭიროა გაწევრიანების გზაზე ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის. ეს ინსტრუმენტებია - ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს არსებითი ღონისძიებათა პაკეტი.

საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, აქტიურად იღებს მონაწილეობას ნატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველოს მნიშნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში. გარდა ამისა, საქართველოს შეიარაღებული ძალები იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და განმტკიცების მიმართულებით. 2015 წლიდან საქართველო ასევე, ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF – NATO Response Force).[16]

2016 წლის 8-9 ივლისს ქ. ვარშავაში ნატოს სამიტი გაიმართა. ვარშავის სამიტზე საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ჩატარდა. ეს იყო ნატოს სამიტის ფარგლებში გამართული ნატო-საქართველოს კომისიის პირველი სხდომა. ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე აღნიშნულ იქნა საქართველოსა და ნატოს შორის არსებული თანამშრომლობის პროგრესი და პრიორიტეტები, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები. ერთობლივ განცხადებაში განისაზღვრა პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებიც გააძლიერებენ საქართველოს თავდაცვისუნარიანობას და მეტად დაცულს გახდიან ქვეყანას. ერთობლივ განცხადებაში ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებაში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნა. სამიტზე მოკავშირეები ასევე

[16] საქართველო ნატო-ს ურთიერთობები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://mfa.gov.ge

შეთანხმდნენ საქართველოსთვის თავდაცვის სფეროში დამატებითი დახმარების გაწევის შესახებ. კერძოდ, საუბარია:

- საჰაერო თავდაცვის გაძლიერებაზე;
- სამხედრო განათლებასა და წვრთნაზე;
- სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობების განვითარებაზე[17]

„საქართველო აპლიკანტი ქვეყანაა. მივესალმებით პროგრესს, რომელსაც საქართველო აღწევს. ჩვენ საქართველოსთან თავსებადობის ამაღლებისა და ნატოს სტანდარტებთან დაახლოებისთვის ვთანამშრომლობთ. საქართველოს წევრობა დღის წესრიგში რჩება," - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.[18]

3.2. საქართველოს ჩართულობა ნატოს სამშვიდობო მისიებში

საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციაში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ჩართულნი იყვნენ 1999-2008 წლებში კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში (KFOR-Kosovo Forces). პირველი ქართული სამშვიდობო ოცეული ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში 1999 წელს გამოჩნდა, (კოსოვოში საერთაშორისო სამხედრო კონტინგენ- ტის განთავსების შემდეგ). 34-კაციანი ქართული ოცეული ქ. მამუშაში თურქული ბატალიონის შემადგენლობაში ირიცხებოდა.

---

[17] ვარშავის სამიტის შედეგები
http://infocenter.gov.ge/82-varshavis-samitis-shedegebi.html

[18] იენს სტოლტენბერგი: NATO-ში საქართველოს წევრობა დღის წესრიგში რჩება
https://www.ipress.ge/new/37636-iens-stoltenbergi-NATOshi-saqartvelos-tsevroba-dghis-tsesrigshi-rcheba 2016.

კოსოვოში ქართული კონტინგენტი 2008 წლამდე იმყოფებოდა (სანამ 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს მთავრობა დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა). საქართველო ასევე მონაწილეობს ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე ანტი - ტერორისტულ ოპერაციაში - აქტიური ძალისხმევა (Active Endeavour), რომელიც ინიცირებულია 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მეხუთე მუხლის საფუძველზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს წვლილი ავღანეთის აწ უკვე დასრულებულ საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ოპერაციაში (ISAF – International Security Assistance Force), სადაც 2004 წლიდან 2014 წლის ჩათვლით მონაწილეობდა. აღნიშნულ ოპერაციაში მონაწილე ნატოს არაწევრ პარტნიორ ქვეყნებს შორის, კონტინგენტის რიცხოვნობის თვალსაზრისით, საქართველოს პირველი ადგილი ეკავა.

ISAF-ის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობა ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან ერთად მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ქართული შეირაღებული ძალების სამომავლო განვითარებასა და ნატოსთან თავსებადობის მიღწევას. ალიანსის მისიაში წვლილის შეტანით საქართველომ დაადასტურა, რომ არ არის მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი ქვეყანა, არამედ აქტიურად შეუძლია, ჩაერთოს საერთაშორისო მშვიდობის დამყარების პროცესში

საერთო ჯამში 2010-2013 წლებში ავღანეთში, ჰელ- მანდის პროვინციაში 2 ქვეითი ბატალიონი იმყოფებოდა, ქაბულში 1 ასეული, ფრანგი სარდლობისა და 1 ასეული ამერიკელების დაქვემდებარების ქვეშ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2011 წელს ქართველი არტილერისტების ინსტრუქტორთა ჯგუფი ამზადებდა ავღანელ არტილერისტებს.

ქართული ჯარი ავღანეთში 2015 წლიდან განაგრძობს ნატოს ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობას და ჩართულია გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში, სადაც ის ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ სამხედრო მომსახურეთა რაოდენობით რიგით მეორე კონტრიბუტორია. ასევე, 2015 წლიდან საქართველო ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF – NATO Response Force).

ნატოს სამშვიდობო და სტაბილიზაციის ოპერაციებში მონაწილეობით საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში.

გარდა ამისა, საქართველოს შეიარაღებული ძალები იძენს მნიშვნელოვან საბრძოლო გამოცდილებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და განმტკიცების მიმართულებით. სამშვიდობო და სტაბილიზაციის ოპერაციებში მონაწილეობით საქართველომ დაამტკიცა, რომ გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია, არის ნატოს სანდო პარტნიორი და ჰყავს მაღალ დონეზე მომზადებული ნატოსთან თავსებადი ჯარი, რაც ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთი კრიტერიუმია.

დღეისათვის დაახლოებით 14 000-მა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა ამგვარი სამხედრო მომზადება. საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობას საერთაშორისო სამშვიდობო და სტაბილიზაციის მისიებში საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა მსხვერპლი, რომელსაც საქართველო საერთაშორისო ოპერაციებში იღებს, ძალიან მძიმე და დიდია. ავღანეთის საერთაშორისო მისიაში გმირულად დაეცა საქართველოს შეიარაღებული ძალების 31 სამხედრო მოსამსახურე, ხოლო ერაყში - 5. (2015 წლის დეკემბრის მონაცემებით)

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო ერაყის სამშვიდობო ოპერაციაშიც(2004-2008წწ.). ხაზგასასმელია, რომ ერაყის ოპერაცია ნატოს ეგიდით არ მიმდინარეობდა და კოალიციური ძალებს ერაყში ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობდა.[19]

3.3. ნატო საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები

ნატო საქართველოს თანამშრომლობა მუდმივად პროგრესირებადია და ამ პროცესში საქართველო ყოველ ეტაპზე სულ უფრო უახლოვდება ალიანსს. დღეს საქართველოს ასპირანტის ანუ გაწევრიანების მსურველი ქვეყნის სტატუსი აქვს. ოფიციალურად,საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა(MAP)არ აქვს,თუმცა 2008 წლიდან ახორციელებს წლიურ ეროვნულ პროგრამას,რომელიც თავისი არსით სწორედ MAP-ის პრაქტიკული ნაწილია.

ნატომ არაერთხელ აღნიშნა,რომ საქართველოს წევრობისთვის მოსამზადებლად ყველა საჭირო პრაქტიკული ინსტრუმენტი გააჩნია. ეს ნიშნავს,რომ MAP-ის გადმოცემა მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების ნაწილად რჩება. გარდა ამისა,2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერები შეთანხმდენ,რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი.ეს დაპირება მომდევნ სამიტებზეც მრავალჯერ დადასტურდა.[20]

მართალია ნატოს ღია კარის პოლიტიკა და საქართველოს მიმართ მისი კეთილგანწყობა ქებას იმსახურებს,მაგრამ ამგვარ პოლიტიკას ერთი მნიშვნელოვანი

---

[19]საინფორმაიო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ
http://infocenter.gov.ge/nato-peacekeeping-missions/

[20] საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, „გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, 2017

დაბრკოლება ხვდება. საქართველოსთვის ამ კარისაკენ მიმავალი გზა რუსეთს აქვს გადაღობილი. რუსეთის ოფიციალურმა პირებმა შეიძლება მთლიანად უარყონ ჩვენი პრეტენზიები და თქვან,რომ რუსეთს არა აქვს ვეტოს უფლება საქართველოს სუვერენულ პოლიტიკაზე.სინამდვილეში კი რუსეთს შეუძლია ფარულად დაადოს ვეტო საქართველოს გადაწყვეტილებას შეუერთდეს ნატოსა და პრეზიდენთ პუტინს არ ეუხერხულება განაცხადოს „ ნატოს - არა“.

როდესაც ბალტიის ქვეყნები შეუერთდნენ ნატოს,რუსეთის მმართველობამ ეს მშვიდად მიიღო.მაგრამ 2008 წლის აგვისტომ ვითარება შეუქცევადად შეცვალა და ბალტიის ქვეყნების მაგალითი აქ უკვე აღარ გამოდგება. რუსეთისთვის როგორც არასდროს მნიშვნელოვანია კავკასიაში თავისი ეროვნული ინტერსები შეინარჩუნოს.

რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა მედვედევმა მოგვიანებით აღიარა,რომ 2008 წელს რუსეთი საქართველოს იმიტომ დაესხა თავს,რომ ალიანსის გაფართოება არ დაეშვა.

ცხადია,ომის შედეგებმა(ოკუპაციამ) გაართულა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი. თუმცა,პროცესი ნამდვილად არ შეჩერებულა. საქართველოში ბორდერიზაცია და ყველასათვის ნაცნობი ნაბიჯების გადადგმა კვლავაც გრძელდება. რუსეთი ისევ არღვევს საერთაშორისო კანონმდებლობას და უგულვებელყოფს აღებულ ვალდებულებებს.

კავკასია ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთისთვის. კავკასია ნატოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ რუსეთისთვის ეს რეგიონი სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს. საქართველოს ნატოში შესვლის შემთხვევაში რუსეთს შეეშინდება არამარტო იმისა, რომ კონტროლს დაკარგავს შავ ზღვაზე, არამედ იმისაც, რომ ნატოს მოსაზღვრეობა უარყოფითად აისახება მის შიდა უსაფრთხოებაზე და ეთნო-კონფლიქტებზე. რუსეთს შეეშინდება, რომ თუ ნატო ძალიან ახლოს მოუშვა, მაშინ არათუ შავ ზღვას და კავკასიას, არამედ - კასპიის ზღვასაც დაკარგავს თავისი

ენერგორესურსებიანად. შესაბამისად დაკარგავს კონტროლს კასპიის გადაღმა სახელმწიფოებზე და პოლიტიკის ცენტრი აღმოსავლეთით გადაუნაცვლდება, სადაც ასევე ძალიან არასახარბიელო სიტუაცია დახვდება მზარდი ჩინეთისა და ინდოეთის სახით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად,საქართველო მტკიცედ აგრძელებს გზას ნატოში გაწევრიანებისკენ. 2006 წლის 21 სექტემბერს, ნატოსთან ინტენსიური დიალოგის რეჟიმზე გადავიდა, შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია, საქართველო აქტიურად მონაწილეობს პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის", ასევე, ნატოს ოპერაციაში ავღანეთში და სხვ.

საქართველომ უამრავი რეფორმაა გაატარა ქვეყნის შიგნით ნატოში ინტეგრაციის გზაზე,ასევე განსაკუთრებულია საქართველოს წვლილი ნატოს ოპერაციებსა და მისიებში. არაწევრ ქვეყნებს შორის საქართველო ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი ქვეყანაა „ნატოს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში" ავღანეთში.

საქართველო საკვანძო როლს ასრულებს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. უნდა აღინიშნოს,რომ შავი ზღვის რეგიონი ალიანსისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია. შავ ზღვაზე რუსეთის ქმედებების საპასუხოდ ნატომ გაზარდა კონტინგენტი რეგიონში. [21]

2017 წლის ბრიუსელის სამიტზე გაჟღერდა საქართველოს მხარდამჭერი გზავნილები. სამიტის დეკლარაცია აღიარებს და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ამასთან ხაზს უსვამს, რომ კონფლიქტების მოგვარება, ნდობის მშენებლობა და კეთილმეზობლური ურთიერთობები აუცილებელია ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.

[21] პეტრიაშვილი ა. 2008-2018 ათი წელი ბუქარისტიდან: „საქართველო გახდება ნატოს წევრი".ექპერტის აზრი. 2018

ნატო კვლავ მოუწოდებს რუსეთს, შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის შესახებ, რადგან ისინი მოქცეული არიან საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ორგანიზაცია აღნიშნავს საქართველოს აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო ოპერაციებში, განსაკუთრებით - ISAF-ის მისიაში ავღანეთში, მხარს უჭერს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ, საარჩევნო და სასამართლო რეფორმას და განაგრძობს საქართველოს დახმარებას როგორც პოლიტიკური, ასევე "პრაქტიკული საშუალებებით".

ნატოს წევრი სახელმწიფოები აღიარებენ და აფასებენ იმ წვლილს, რომელიც საქართველოს შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში,რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

2018 წლის ბრიუსელის სამიტის წინ ნატოს გენერალური მდივნის იანს სტოლტენბერგის თქმით საქართველოს გააჩნია ყველა მექანიზმი იმისათვის,რომ გახდეს ნატოს წევრი.[22]

ასევე ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ პირველი არხის კორესპონდენტთან ქეთევან ქარდავასთან ექსკლუზიურ ინტერვიუში .

აპატურაის თქმით: **"ნატოს 2018 წლის სამიტისთვის, ველოდები შეთანხმებას და ძალიან მკაფიო ენით დაფიქსირებას, თუ როგორ უნდა წავიდნენ წინ ნატო და საქართველო".[23]**

---

[22]NATO Sec-Gen: Georgia has all the tools needed for NATO membership
http://agenda.ge/news/101455/eng

[23] ჯეიმს აპატურაი - ივლისის სამიტისთვის ველოდები მკაფიოდ დაფიქსირებას, როგორ უნდა წავიდნენ წინ ნატო და საქართველო
https://1tv.ge/news/jeims-apaturai-ivlisis-samitistvis-velodebi-mkafiod-dafiqsirebas-rogor-unda-wavidnen-win-nato-da-saqartvelo/

მოცემული განცხადებების შესამაბისად,ვფიქრობ საქართველოს აქვს ყველანაირი რესურსი გახდეს ნატოს სრულუფლებიანი წევრი.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგად მივიღეთ შემდეგი დასკვა,რომ ნატო არის მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის მთავარი გარანტი. მსოფლიოში მიმდინარე მუდმივი ცვლილებების მიუხედავად ევროატლანტიკურმა ალიანსმა შეძლო დაემყარებინა მშვიდობა და სტაბილურობა ევროატლანტიკურ რეგიონში.

„ცივი ომის'' დასრულების შემდეგ როდესაც უკვე დაშლილი იყო მთავარი მოწინააღმდეგე ვარშავის სამხედრო ბლოკის სახით, შეიქმნა ილუზია იმის შესახებ, რომ ნატომ ამოწურა თავისი ფუნქცია და შეიძლებოდა დაშლილიყო. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა, ნატომ „ცივი ომის'' შემდგომ პერიოდში მოახდინა ტრანსფორმაცია, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ალიანსი და ხელი შეუწყო სტაბილური ბალანსის შენაჩუნებას.

გლობალური გამოწვევები სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსოფლიო წესრიგს, მათ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ცივილიზებულ სამყაროს, ეროვნულ თუ საერთაშორისო უსაფრთხოებას. აქედან გამომდინარე საკმაოდ იზრდება საერთაშორსო ორგანიზაციების როლი, განსაკუთრებით კი ისეთი მნიშვნელოვანი მოთამაშის მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში, როგორიც ევროატლანტიკური ალიანსია.

ნატოს სიძლიერე მდგომარეობს მის უნარში შეიცვალოს, გარდაქმნას საკუთარი თავი ახალი ასიმეტრიული საფრთხეების, საერთაშორისო ტერორიზმისა და მასობრივი განდგურების იარაღის გავრცელების საპასუხოდ, იმ პრობლემების საპასუხოდ, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან მსოფლიო მშვიდობას. თავისი შემაკავებელი და დამცავი როლით ნატო არის მისი წევრების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული უსაფრთხოების გარანტია, ხოლო ღია კარის პოლიტიკის წარმოებით ალიანსი მაქსიმალურად ცდილობს მის ახალ წევრებთან ძალისხმევის გაერთიანებისკენ, იმ ქვეყნებთან რომლებიც იზიარებენ ევროატლანტიკური ორგანიზაციის ფასეულობებს.

- **ნატოს სამშვიდობო მისიების სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში?**

პირველი საკვლევი კითხვის პასუხი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ნატოს სამშვიდობო მისიების სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში კიდეც უფრო მტკიცდება დროთა განმავლობაში.

ნატო დღემდე წარმატებით ახორციელებს მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებს, რაც განპირობებული მისი სწორი პოლიტიკით,მუდმივად განახლებადი სტრატეგიული კონცეფციით, რომლის შემუშავებაშიც წევრი ქვეყნებიც იღებენ მონაწილეობას.

- **რამდენად ეფექტური გამოდგა ნატოს ჩართულობა კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში შედარებითი ანალიზი?**

მეორე საკვლევი კიკითხვის პასუხი მდგომარეობს შემდეგში:ნატო აქტიურად იყო და არის ჩართული კონფლიქტების მოგვარებაში, სტაბილური სიტუაციის შექმნაში. ალიანსის პირველი სამხედრო ოპერაცია იყო ბალკანურ კონფლიქტში ჩართვა 1991 წელს, შემდეგ მას მოსდევდა ბოსნია-ჰერცოგოვინა 1995 წელს, კოსოვოს კონფლიქტი 1999 წელს. ამ რეგიონში ნატომ დიდი ძალისხმევის შედეგად, სამხედრო ძალების გამოყენებით მოახერხა კონფლიქტის პრევენცია და მშვიდობის დამყარება. ნატოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მისია იყო ავღანეთის ISAF-ის მისია, 2003 წლის აგვისტოდან, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე მოხდა ავღანეთში სამხედრო მოსამსახურეთა გაგზავნა, რათა დახმარება გაეწიათ ავღანეთის მთავრობისთვის, რომ ქვეყნსი მასშტაბით შქმნილიყო უსაფრთხო გარემო და მინიმუმამდე შემცირებულიყო ექსტრემისტული დაჯგუფებების ქმედებები. ალაინსმა იტვირთა მისიის სტრატეგიული სარდლობა, კონტროლი და კოორდინაცია. მათი ეფექტური ჩართულობა კოსოვოს და ავღანეთის მისიებში გახდა ერთ-ერთი ქვაკუთხედი იმ შექმნილი სტაბილური და მშვიდი სიტუაციის, რაც დღეს მიმდინარეობს ამ ორ რეგიონში.

- **თანამედროვე პერიოდში ახალი გამოწვევების ფონზე რამდენად შეუძლია ნატოს, ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფა?**

მესამე საკვლევი კითხვა ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:თანამედროვე პერიოდში ახალი გამოწვევების ფონზე ნატო ალიანსის უსაფრთხოების მთავარი გარანტია. ნატოს შესწევს ძალა რუსული აგრესიის წინააღმდეგ გამოიყენოს საკუთარი ბერკეტები,რათა არ მისცეს საშუალება საკუთარი გავლენა გაავრცელოს და თავს მოახვიოს სხვა ქვეყნებს. ასევე, ნატო არის მთავარი საყრდენი ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.მისი მეშვეობით ხდება ყველა საფრთხის ნეიტრალიზაცია და როგორც რუსეთს ასევე ტერორისტულ ორგანიზაციებს ეზღუდება არიალი საკუთარი

ქმედებების. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს კიბერ-ტერორიზმთან და ჰიბრიდულ ომთან მიმართული კომლექსური სამუშაოები,რასაც ნატო ანხორციელებს,რათა მოხდეს მათი ნეიტრალიზაცია.

ნატო არის წამყვანი ორგანიზაცია კრიზისების მართვის სფეროში, მისი სამხედრო სტრუქტურა, კრიზისების მართვის კონცეფცია, ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ალიანსი იღებს კონფლიქტების პრევენციისთვის, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისას, შესაძლებლობები, რომელიც გააჩნია მას სამხედრო სფეროში, აძლევს მას საშუალებას, რომ ითამაშოს მთავარი და გადამწყვეტი როლი თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

აქვე აღსანიშნავია საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი. ძნელი სათქმელია, როგორ გაგრძელდება საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, თუ რუსეთმა მიაღწია ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის ხანგრძლივ დაბლოკვას. რუსეთი ყველანაირი გზებით ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოს გაწევრინებაას ნატოში.

რაც შეეხება ევრო-ატლანტიკური ალიანსის და საქართველოს ურთიერთობებს მნიშვნელოვანია, ის პროცესი რომელიც მიმდინარეობს ალიანსში გაწევრიანების მიმართულებით. საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციაში.

ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებით ჩვენ მივიღებთ ბევრად უფრო უსაფრთხო გარემოს ვიდრე დღეს არის და საქართელო სამხედრი-პოლიტიკური კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვან წონასაც შეიძენს.

დასკვნის სახით თანამედეოვე პერიოდში სრულიად შეიძლება ითქვას, რომ ალიანსი ესადაგება XXI საუკუნის უსაფრთხოების მოთხოვნებს თავისი ოპერაციებით, გაძლიერებული თავდაცვითი შესაძლებლობებით, უწყვეტი შინაგანი რეფორმებითა

და უფრო ღრმა კავშირებით, როგორც თვით ევროატლანტიკურ არეალში, ისე მის გარეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიკა ჩიტაძე - ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი 2007 წ.
2. „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ , გზამკვლევი. 2017წ.
3. პეტრიაშვილი ა. 2008-2018 წელი ბუქარესტიდან: „საქართველო გახდება ნატოს წევრი“. 2018წ.
4. ჩიტაძე ნ. გეოპოლიტიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2011 წ.
5. ე.გვენეტაძე ი.რუხაძე - ნატო (NATO) საერთაშორისო ურთერთობებში. თბილისი 2009 წ.

6. ცინცაძე ს. (რედ), საქართველო - ნატო, საწყისები, რეალობა, პერსპექტივები. თბ., 2008 წ.
7. ბურკაძე ხ. კორეპანოვი ა. ,,ეს ნატოა“ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, თბილისი, 2008წ.
8. ,,რა არის ნატო?“ , სახალხო დიპლომატიური განყოფილება, ბრიუსელი-ბელგია (1110)
9. David P. Auserwald, Stephan M. Seideman ,,NATO in Afghanistan: Fighting Together, Fighting Alone", Prinston University Press, 2014, 15 Jun.
10. IVANCIK R. JURCAK V. - ,,PEACE OPERATIONS OF INTERNATONAL CRISIS MANAGEMENT", 2013.
11. Kriendler J. Greime P. ,,Understanding NATO in the 21st century",Routhledge, 2013.
12. Asmus R. ,,Openning NATO's Door: How the Alliance Remude it self an New Era, Columbia university Press, 2014.
13. საქართველო და ნატო საინფორმაციო ცენტრი http://infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/ 2018.
14. . International Law & Relations საერთაშორისო სამართალი და ურთიერთობები http://ildb.blogspot.com/2010/05/blog-post_2922.html 2010.
15. The Assembly's Contribution to the New Strategic Conceptof the Alliance. (2010 13 April). Brusells, Belgium: NATO HQ
16. ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია და საქართველო http://ildb.blogspot.com/ 2011.
17. Strategic Concepts https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_56626.htm#
18. ნატო და დასავლეთ ევროპის უსაფრთხოება http://yata.ge/ge/?p=1288 2017.
19. "სამშვიდობო ოპერაციების" არსი, ამოცანები და ფუნქციები

https://www.militarium.org/samshvidobo-operaciebi/

20. NATO's role in Kosovo

https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_48818.htm 2017.

21. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

http://infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/#1

22. International Peacekeeping: NATO‘s Comprehensive Approach and itsapplication in Afghanistan.

https://skemman.is/bitstream/1946/12636/1/Andri-Thesis-Afghanistan.pdf 2011.

23. New Threats and Challenges Await NATO

https://www.fairobserver.com/region/europe/nato-and-the-european-union-international-security-news-23393/ 2016.

24. Collective Defence- NATO’s Mission: New threats to security and the transformation of the alliance

http://www.atahq.org/2018/02/collective-defence-natos-mission-new-threats-security-transformation-alliance/ 2018.

25. საქართველო ნატო-ს ურთიერთობები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

http://mfa.gov.ge

26. ვარშავის სამიტის შედეგები

http://infocenter.gov.ge/82-varshavis-samitis-shedegebi.html

27. იენს სტოლტენბერგი: NATO-ში საქართველოს წევრობა დღის წესრიგში რჩება

https://www.ipress.ge/new/37636-iens-stoltenbergi-NATOshi-saqartvelos-tsevroba-dghis-tsesrigshi-rcheba 2016.

28. საინფორმაიო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

http://infocenter.gov.ge/nato-peacekeeping-missions/

29. NATO Sec-Gen: Georgia has all the tools needed for NATO membership

http://agenda.ge/news/101455/eng

30. ჯეიმს აპატურაი - ივლისის სამიტისთვის ველოდები მკაფიოდ დაფიქსირებას, როგორ უნდა წავიდნენ წინ ნატო და საქართველო https://1tv.ge/news/jeims-apaturai-ivlisis-samitistvis-velodebi-mkafiod-dafiqsirebas-rogor-unda-wavidnen-win-nato-da-saqartvelo/

31. THE CONCEPT AND TYPE OF PEACE OPERATIONS http://www.armyacademy.ro/reviste/rev1_2014/COJOCARU.pdf 2014.